# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 13 მარტი 1997 №28 (393) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარგვეთის პრეზიდენტს მომხვეჭელობა ბრალდება



როგორც გუშინწინდელი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყება, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე № 452, რომლის თანახმადაც სამი კაცი, მათ შორის ზესტაფონის „მარგვეთის“ პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე, ეჭვმიტანილია, რომ „აღნიშნულმა პირებმა 1995 წლის იანვარში ქალაქ ორიოლში გაიტანეს 1 100 000 დოლარის ღირებულების 1 068 ტონა საშუალო ნახშირბადიანი ფერომანგანუმი. იმავე წლის მაისში, ივლისში და აგვისტოში ბულგარეთში გაიტანეს 683 195 დოლარის ღირებულების 991 ტონა აღნიშნული პროდუქცია და თანხა მიითვისეს“. იმავე წერილში, რომელიც გაზეთს სააგენტო „იფრინდამ“ მიაწოდა, ნათქვამია, რომ ეს „ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში კორუფციონერთა დიდი ჯგუფის უკანონო, დანაშაულებრივი საქმიანობის“ შედეგია.

## იტალიელები უკანასკნელად გვაფრთხილებენ

„სარბიელში“ რამდენჯერმე გაუწყეთ იტალიური ფირმა „ფინეურო კონსალტინგის“ ვიზიტებისა და გეგმების შესახებ. საქმე თითქმის საათივით იყო აწყობილი — ჩვენ უთავბოლობას რა ვუთხრათ, თორემ მკითხველი რომ ამ სტატიის კითხვაში იქნებოდა, ეროვნულ სტადიონზე გახურებული მუშაობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ ერთი აგური რაა, ისიც არ დადებულა. იტალიელებმა იცადეს, იცადეს და ფაქსი გამოაგზავნეს — ან ერთ კვირაში გაარკვიეთ ვის ეკუთვნის სტადიონი, ან ამიერკავკასიაში სხვა პარტნიორს მოვძებნითო.

შეიძლება, ვისაც ეს ეხება, სულაც არ ანაღვლებს სტადიონის ბედი, მაგრამ ასიათასობით ფეხბურთის გულშემატკივარმა რა დააშავა, რომელიც 1998 წლის 1 იანვრიდან მოკლებული იქნება ნაკრების თუ „დინამოს“ საერთაშორისო თამაშებს. ის კი არა, ალბათ ტელევიზიითაც ვეღარ ვუყურებთ ჩვენი გუნდების მატჩებს, რაკილა რუსეთში თუ თურქეთში იჯარით აღებული სტადიონიდან ტელერეპორტაჟი დიდი ფული ეღირება.

„ფინეურო კონსალტინგი“ უეფას წარმომადგენელს, ერიხ ეპლესაც დაკავშირებია და საქმის მოგვარების დაჩქარება უთხოვია, მაგრამ რად გინდა — შეაყარე კედელს ცერცვი. მოკლედ, ჩვენ, ქართველებს არ გვინდა, რომ ნორმალური სტადიონები გვქონდეს და თამაშებს შინ ვუყუროთ.

ისე, ერთი კვირა კიდევ გვაქვს.

## რაო, რაო, წილისყრაო?

საქართველოს თასის ნახევარფინალისტები კი გამოვლინდნენ, მაგრამ როდის ჩატარდება ნახევარფინალის წილისყრა, უცნობია. ისიც უცნობია, კვლავ ახალი, „გენიალური“ სისტემით (ტერიტორიული პრინციპი იგულისხმება) ჩაატარებს ფეხბურთის ფედერაცია ამ პროცედურას თუ ადამიანურ, ჩვეულ წესს დასჯერდება.

## გიო მერთ კვირაში ითამაშებს

სამშაბათს „მანჩესტერ სიტიმ“ კვლავ ქინქლაძის გარეშე ითამაშა და „ბირმინგემთან“ 0:2 წააგო. როგორც ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი დავით მჭედლიშვილი იუწყება, გიომ მხოლოდ ორშაბათს განაახლა ვარჯიში, თუმცა შაბათის მატჩს „გრიმსბისთან“ კვლავ გამოტოვებს. „სიტის“ ექიმები იმედოვნებენ, რომ შემდეგი კვირიდან ქინქლაძე ჩვეულს რიტმს დაუბრუნდება და 22 მარტს მორიგ შეხვედრაში ითამაშებს კიდეც.

### შოთამ ბეშიქთაში დაანგრია

გუშინწინ სტამბოლში თურქეთის პრემიერ-მინისტრის თასზე „ტრაბზონსფორმა“ 4:0 გაანადგურა „ბეშიქთაში“. ორი გოლი შოთამ შეაგდო, მესამე — ჰამის გაატანინა, მეოთხე გოლი კი ნემსაძის პასით თოლუნაიმ მოათავსა „ბეშიქთაშის“ კარში.

### გამშველებელი, ცხადია, რუსია

არა, საჩხუბარი რა გვაქვს — 30 მარტს საქართველო და სომხეთი ამხანაგურად ხვდებიან ერთმანეთს. უბრალოდ, ისევე როგორც ძველ დროში, მოედანზე წარმოქმნილ სადაო საკითხებს რუსეთელი მსაჯი სერგეი ჰუსაინოვი მოაგვარებს.

## წუხელ

ამხანაგური მატჩი

ოსტრავა, 15 817 მაყურებელი

**ჩეხეთი 2:1 პოლონეთი**

**ჩეხეთი:** სრნიჩეკი, რეპკა, სუხოპარეკი (რადა 46), ჰაშეკი, კადლეცი, ჰორნიაკი, შმიცერი (ვერბირჟი 70), ჰობორსკი, კუკა (სიგლი 53), ჩიჟეკი, ფრიდეკი (სლონჩიკი 84)

**პოლონეთი:** ვოზნიაკი, კალუჟნი, ზელინსკი, კრიგერი, ჰაიტო (მაიაკი 46), სკრჟიპეკი, სვერჩევსკი (კუჩიელკა 68), კუხარსკი, ვარჟიხა, კოვალჩიკი (პლუციენიკი 80), სოკოლოვსკი

თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩეხეთმა აშკარად დაჯაბნა ჩვენი მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში — ბოლო წუთზე გატანილ გოლამდე ერთი ხეირიანი სახიფათო მომენტი რაა, ისიც კი არ შეუქმნიათ სტუმრებს. უკვე მე-3 წუთზე კუკამ აიღო პოლონელთა კარი, მაგრამ ეს ხელით გააკეთა. ცხადია, ბელარუსმა ჟუკმა გოლი არ ჩათვალა და ჩეხი გააფრთხილა. ამის მერე იყო, ვარჟიხამ და სოკოლოვსკიმ 5 წუთის ინტერვალით ორჯერ არაზუსტად დაარტყეს სრნიჩეკის კარისკენ და ჩეხთა ლაღობაც დაიწყო. პოლონელი მცველები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. ამ განხრით განსაკუთრებით ჰაიტო გამოირჩეოდა და პეხნიჩეკმა შესვენებაზე შეცვალა კიდეც. ანგარიში ასე გაიხსნა: ფრიდეკმა მარცხნივ გაჭრა ჩიჟეკი, ამან ეფექტურად მოატყუა ჰაიტო და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ყველას პაველ კუკამ დაასწრო და სამი მეტრიდან შეაგდო. ამის მერეც არ შეწყვეტილა ჩეხთა შეტევები და სტუმართა მცველების უხეირო თამაში — ტაიმის ბოლო წუთზე კუხარსკიმ ლამის საკუთარ მეკარეს გაუტანა, ბედად, ბურთი ვოზნიაკს მოხვდა.

ვოზნიაკზეც ვთქვათ. მატჩის წინ პეხნიჩეკი ამბობდა: მართალია, „უემბლიზე“ ვოზნიაკის შეცდომამ წაგვაგებინა, მაგრამ შანსს მაინც მივცემ, რაც უნდა იყოს, 31 წლისაა. მეორე მეკარე 21 წლის შამოტულსკი ერთობ ნიჭიერი კია, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ აქვსო. 63-ე წუთზე პეხნიჩეკმა ალბათ ინანა, რომ კარი ჭაბუკს არ ანდო — ვოზნიაკმა სოლიდარობა გამოუცხადა მცველებს და მეკარის მოედანში მდგარ რადას ხელი არ შეუშალა — 2:0. ამ გოლამდე ხუთი წუთით ადრე მსაჯმა აშკარად დაინდო შეცვლაზე შესული მაიაკი და მისი უხეშობა ჩიჟეკის მიმართ პენალტით არ შეაფასა.

ბოლო წუთი იყო, როცა პოლონელებმა კუთხურის უფლება მიიღეს. გათამაშებული ბურთი სოკოლოვსკიმ ჩააწოდა და ზელინსკიმ თავით ანგარიშს სოლიდური, ამ მატჩისთვის აშკარად უსამართლო, სახე მისცა.

**დავით ქაქაბაძე პრაღიდან**

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ტელევიზიით ნახა ეს მატჩი და წუხელ პირველი შთაბეჭდილება გაგვიზიარა:

— მართალია, ჩეხებმა დაჩაგრეს ჩვენი მომავალი მეტოქე, რომელსაც, ფაქტიურად, სახიფათო მომენტი არ შეუქმნია, მაგრამ აქ რამდენიმე მომენტია გამოსაყოფი. ჯერ ერთი, გუნდს აკლდნენ ციტკო, ნოვაკი და ფეიენოორდელი საგანოვსკი. მეორეც: პოლონელები საკონტროლო მატჩებს სტუმრად. და ტიტულოვან მეტოქეებთან ატარებენ — ბრაზილიას რომ თავი ვანებოთ, ჩეხეთი ხომ ევროპის ვიცე-ჩემპიონია. ისე, ამ მატჩშიც გამოჩნდა პოლონელთა ბრძოლისუნარიანობა, თუმცა ეს ხშირად უხეშობაში გადაიზრდებოდა-ხოლმე. ფიზიკური კონდიციაც ერთობ მაღალი აქვთ. ამ თამაშში მხოლოდ კოვალჩიკის გამოყოფა შეიძლება. ჯერ ამ გუნდის მხოლოდ გასვლითი მატჩები ვნახე, თუმცა ეტყობა, რომ შინ ათმაგად საშიშნი იქნებიან. სანამ ჩვენ შეგვხვდება, 2 აპრილს შინ იტალიას ეთამაშება და ამ მატჩს რეზო ძოძუაშვილი დაესწრება.



ბაჩო ქორქაშვილის ფოტო

## ჩამოვიდნენ, მიგვანგრ-მოგვანგრიეს

12.03. რუსთავი. ფოლადის სტადიონი

**საქართველო 3:22 რუმინეთი**

**მსაჯი:** ალფონსას გრუმბინასი (ლიტვა)

**საქართველო:** (15-9) მაჩიტიძე; ზესელია, ძოწენიძე, ჯანელიძე, ბუგიანიშვილი; ტეფნაძე, მოდებაძე (ხუციშვილი) — (1-8) მთიულიშვილი, ჯაფარიშვილი, ფირცხალავა (ჩიქავა); ლეჟავა (გიუნაშვილი), რაფავა (კაციძე); ურუშაძე, ობოლაძე (ძაპ), კობახიძე (აბდალაძე). — ს: მოდებაძე (27)

**რუმინეთი:** მიფტეი; ოლარიუ, ნედელკუ, დუმიტრუ, ტილაბი; გურანესკუ, ფლუტური (ძაპ) — კონსტანტი, ნეგრეჩი, კოსტა; სტანკა, სამოილა; სეპტარი, კოდორიანუ, გირბუ (ორნაუტუ, მავროდინი, სიუანი). — 3ლ: კოდორიანუ (20), დუმიტრუ (60), გირბუ (80); 2გ (20, 60) და ს (75): გურანესკუ

საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებთა მატჩი რუსთავის სტადიონზე ჩატარდა. ჩვენები ვაკის სტადიონის წინ, სპორტის დეპარტამენტის შენობასთან შეიკრიბნენ და იმის მაგივრად, რომ ქუჩაზე გადასულიყვნენ და თბილისშივე ებურთავათ, ავტობუსში ჩასხდნენ და რუსთავისკენ აიღეს გეზი. საქმე ისაა, რომ ვაკის სტადიონის მუშაკებს მინდორი ჩაესასუქებინათ და იქ თამაში არ შეიძლებოდა.

რუსთაველებმა მორაგბეებს დიდსულოვნად დაუთმეს მთავარი სტადიონი, მაგრამ მოედანს სარაგბო ნაღდად არ ეთქმოდა: ლელოს ორ მესამედს სარბენი ბილიკი წარმოადგენდა, აქვე თითო მხარეს ხუთი ბოძი იყო წამოჭიმული (ორი ფეხბურთის კარის ძელი, ორი ბადის სამაგრი პალო და ერთიც ფლაგშტოკი). ქართველ მორაგბეთა უწინდელი თაობები ასეთ ვითარებაში ასპარეზობას მიჩვეულები იყვნენ, რუმინელებს კი გაოცება აშკარად ეტყობოდათ, მწვრთნელებმა ცოტაც კი წაიწუწუნეს, მაგრამ უთამაშებლობას ისევ თამაში ამჯობინეს და გასახდელში გაუჩინარდნენ.

მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო. რუმინელები სისწრაფეში და ორგანიზებულობაში გვჯობდნენ. შერკინება კარგ წინაპირობას უქმნიდა უკანა ხაზს და ისიც ლაღად ბურთაობდა. მე-20 წუთზე სტუმრებმა დერეფანი მოიგეს, მოლი დააყენეს, ფლუტურმა შეუტია და ბურთი კოდორიანუს გაატანა, რომელმაც ჩვენი დაცვის ხაზი გაჭრა და თუმცა ლელოსთან დაიჭირეს, მაინც მოახერხა თავისიანებისთვის 5 ქულის მოტანა.

ქართველები ძალისმიერად თამაშობდნენ და უპირატესობას შერკინებას ანიჭებდნენ. გია რაფავამ ტაიმის მიწურულს ნახევარი მოედანი კი გაირბინა, მაგრამ მის ძალისხმევას ჩვენთვის სახეირო არაფერი მოჰყოლია. მანამდე შოთა მოდებაძემ საჯარიმო გაიტანა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა იძალეს. მე-15 წუთიდან მოყოლებული ოთხჯერ ისე შეგვიტიეს, რომ ბურთი არ დაუკარგავთ, მათ შეჩერებას ბორჯღალოსნები ლელოსა და კიდის ხაზების კუთხეში ახერხებდნენ. მეხუთე შეტევისას, როგორც იქნა, ბურთი წავართვით და კიდეზე მოვიგერიეთ, მაგრამ ამ შვიდწუთიანმა ზეწოლამ თავისი ქნა: რუმინელებმა ჩვეულებისამებრ დერეფანი მოიგეს, ჩვენი დაცვის ხაზი გაირბინეს და დუმიტრუმ ლელო გაიტანა.

მატჩის კომენტარი საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელს დავით კილასონიას ვთხოვეთ: „თითქმის ყველა კომპონენტში გვაჯობეს, აუტებში მაგრად დაგვჯაბნეს. ამასთან ჩვენ ბიჭებს სათამაშო დისციპლინა აკლდათ, მეტისმეტ ინიციატივას იჩენდნენ, თუმცა იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ რუმინეთი ძალიან ძლიერი გუნდია და ევროპის გრანდებთან თამაშის გამოცდილება აქვს.“

გია რაფავამ მატჩის მერე გვითხრა, აბა დერეფანში ბურთს როგორ მოვიგებდი, როცა მთელი მათი შერკინება ხელებზე მეკიდა, მსაჯი კი ამას არანაირ ყურადღებას არ აქცევდა. ვუთხარი, ყურადღებით ყოფილიყო, მაგრამ მიპასუხა, ხომ მოიგე რამდენიმეჯერ აუტი, მეტი რაღა გინდაო.

**ერეკლე ქიქილაშვილი**

რუმინელები კიდევ ორჯერ გვეთამაშებიან. ხვალ ან ზეგ ასკ-ის სტადიონზე ეთამაშებიან თბილისის ნაკრებს, ხოლო ორშაბათს ან სამშაბათს — ვაკის სტადიონზე, ისევ საქართველოს ნაკრებს.

| № | გუნდები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | | 3:3 | 2:0 | 8:0 | | | 4:1 | 4:0 | | 6:0 | | | 6:0 | 8:2 | | 2:0 |
| 2 | ბათუმი | | | | 4:1 | 3:0 | 1:0 | 7:0 | | 3:1 | 3:0 | | | 4:0 | | 2:0 | 6:0 |
| 3 | კოლხეთი | | 3:2 | | | | | | 1:1 | | 6:2 | 1:1 | | 4:0 | 1:0 | | 4:0 |
| 4 | მარგვეთი | | | 0:1 | | 3:0 | 1:2 | 2:0 | | 2:0 | | | 3:0 | 2:1 | | 4:0 | |
| 5 | მერანი | 0:0 | | 4:0 | | | 2:1 | 0:0 | | 3:1 | | | 4:1 | | | 0:0 | |
| 6 | ოდიში | | | 4:1 | | | | | | 5:0 | | 2:0 | 5:1 | | | 2:0 | 3:0 |
| 7 | გურია | | | 0:1 | | | 2:0 | | | 2:0 | | | 5:4 | | | 1:0 | 3:0 |
| 8 | დილა | | 0:0 | | 4:3 | 1:2 | 2:0 | 0:0 | | | 1:0 | | | 3:1 | | 1:0 | |
| 9 | ტორპედო | 2:4 | | 1:4 | | | | | 5:0 | | | 1:1 | 4:3 | 3:1 | 3:0 | | 6:1 |
| 10 | სამტრედია | | | | 0:2 | 1:0 | 2:1 | 1:2 | | 3:1 | | | 1:0 | 4:1 | | 1:0 | |
| 11 | შევარდენი | 1:5 | 1:1 | | 0:0 | 1:2 | | 4:0 | 1:1 | | 2:0 | | | | 3:1 | | |
| 12 | გორდა | 2:6 | 0:1 | 2:4 | | | | | 1:0 | | | 3:0 | | 2:1 | 2:0 | | 3:0 |
| 13 | სამგურალი | | | | | 1:1 | 2:1 | 1:0 | | | | 1:1 | | | 0:1 | 1:0 | 3:1 |
| 14 | ივერია | | 0:0 | | 1:2 | 3:4 | 0:0 | 2:0 | 0:0 | | 2:1 | | | | | | |
| 15 | სიონი | 1:2 | | 0:3 | | | | | | 2:4 | | 2:0 | 1:1 | | 3:0 | | 2:0 |
| 16 | კახეთი | | | | 0:1 | 1:0 | | | 1:0 | | 1:0 | 0:1 | | | 1:0 | | |

| № | შინ | | | | | | სტუმრად | | | | | | სულ | | | | | | № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 1 | 0 | 43-6 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 17-6 | 13 | 14 | 12 | 2 | 0 | 60-12 | 38 | 1 |
| 2 | 9 | 9 | 0 | 0 | 33-2 | 27 | 6 | 1 | 4 | 1 | 7-7 | 7 | 15 | 10 | 4 | 1 | 40-9 | 34 | 2 |
| 3 | 7 | 5 | 2 | 0 | 20-6 | 17 | 8 | 5 | 0 | 3 | 14-13 | 15 | 15 | 10 | 2 | 3 | 34-19 | 32 | 3 |
| 4 | 8 | 6 | 0 | 2 | 17-4 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 9-17 | 10 | 15 | 9 | 1 | 5 | 26-21 | 28 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 3 | 0 | 13-3 | 15 | 8 | 3 | 1 | 4 | 9-14 | 10 | 15 | 7 | 4 | 4 | 22-17 | 25 | 5 |
| 6 | 6 | 6 | 0 | 0 | 21-2 | 18 | 8 | 1 | 1 | 6 | 5-12 | 4 | 14 | 7 | 1 | 6 | 26-14 | 22 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 0 | 1 | 13-5 | 15 | 9 | 1 | 2 | 6 | 3-21 | 5 | 15 | 6 | 2 | 7 | 16-26 | 20 | 7 |
| 8 | 8 | 5 | 2 | 1 | 12-6 | 17 | 7 | 0 | 3 | 4 | 2-13 | 3 | 15 | 5 | 5 | 5 | 14-19 | 20 | 8 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 2 | 25-14 | 16 | 7 | 1 | 0 | 8 | 7-20 | 3 | 15 | 6 | 1 | 8 | 32-34 | 19 | 9 |
| 10 | 8 | 6 | 0 | 2 | 13-7 | 18 | 7 | 0 | 0 | 7 | 3-21 | 0 | 15 | 6 | 0 | 9 | 16-28 | 18 | 10 |
| 11 | 8 | 3 | 3 | 2 | 13-10 | 12 | 7 | 1 | 3 | 3 | 4-10 | 6 | 15 | 4 | 6 | 5 | 17-20 | 18 | 11 |
| 12 | 8 | 5 | 0 | 3 | 15-12 | 15 | 7 | 0 | 1 | 6 | 10-23 | 1 | 15 | 5 | 1 | 9 | 25-35 | 16 | 12 |
| 13 | 7 | 4 | 2 | 1 | 9-5 | 14 | 8 | 0 | 0 | 8 | 5-28 | 0 | 15 | 4 | 2 | 9 | 14-33 | 14 | 13 |
| 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 | 8 | 1 | 0 | 7 | 4-21 | 3 | 15 | 3 | 3 | 9 | 12-28 | 12 | 14 |
| 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 11-10 | 10 | 8 | 7 | 1 | 0 | 0-12 | 1 | 15 | 3 | 2 | 10 | 11-22 | 11 | 15 |
| 16 | 6 | 4 | 0 | 2 | 4-2 | 12 | 9 | 0 | 0 | 9 | 2-32 | 0 | 15 | 4 | 0 | 11 | 6-34 | 7* | 16 |

0:3 – ჩაეთვალა წაგება, * - ჩამოართვეს 5 ქულა

## ფეხბურთელთა მიგრაცია 97

| ქვეყანა | წავიდნენ | | | | | მოვიდნენ | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | ? | თმ | ს | I | II | თდ | სს | ს |
| საქართველო | 29 | 1 | 14 | 4 | 58 | 29 | 19 | 6 | 4 | 58 |
| | I | II | III | სს | ს | I | II | III | სს | ს |
| რუსეთი | 5 | 3 | 11 | - | 19 | 1 | 1 | 1 | - | 3 |
| ლატვია | 5 | - | - | - | 5 | - | - | - | - | 0 |
| საბერძნეთი | - | 4 | - | - | 4 | - | - | - | - | 0 |
| თურქეთი | 1 | - | - | - | 1 | - | - | - | - | 0 |
| უკრაინა | - | 2 | - | - | 2 | - | - | - | - | 0 |
| პორტუგალია | 1 | - | - | - | 1 | - | - | - | - | 0 |
| გერმანია | - | 1 | - | 1 | 2 | - | - | 2 | - | 2 |
| პორტუგალია | 1 | - | - | - | 1 | - | - | - | - | 0 |
| გერმანია | - | 1 | - | 1 | 2 | - | - | 2 | - | 2 |
| მაკედონია | 1 | - | - | - | 1 | - | - | - | - | 0 |
| პოლონეთი | 1 | - | - | - | 1 | - | - | - | - | 0 |
| ჩინეთი | - | - | - | - | 0 | - | 1 | - | - | 1 |
| აშშ | - | - | - | 1 | 1 | - | - | - | - | 0 |
| აზერბაიჯანი | - | - | - | - | 0 | 1 | - | - | - | 1 |
| სულ | 14 | 10 | 11 | 2 | 37 | 2 | 2 | 2 | 0 | 7 |

I - ლიგა, სს - საფეხბურთო სკოლა, თმ - თამაში მიატოვა, თდ - თამაშს დაუბრუნდა, ? - მომავალი უცნობია, ს - სული

## საქართველოს ჩემპიონატი

# მეორე წრის წინ

## სტატისტიკა

მას შემდეგ, რაც პირველი წრის შემაჯამებელი მიმოხილვა გაახლეთ, ბევრი რამ შეიცვალა. უცვლელი მხოლოდ პირველი წრის სტატისტიკა დარჩა, რასაც ერთხელაც შეგახსენებთ. ამასთან ერთად წლევანდელ ტრანსფერთა მაქსიმალურად დაზუსტებულ ნუსხასაც გთავაზობთ. მაქსიმალურადო იმიტომ ვამბობთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავს არ იწუხებს ამ ნუსხის შედგენა-გამოქვეყნებით და ამით დაინტერესებულთ კლუბებისკენ გვაგზავნის. კლუბები, უფრო მეტად, ვარაუდებით გვკვებავენ. ამიტომაცაა, სიმართლის გასარკვევად რაგინდ დიდი ჯაფაც უნდა დავხარჯოთ, სიმართლე მეორე დღეს უკვე ტყუილად გვექცევა.

თუ ქვემოთ მოცემულ ცხრილში უზუსტობანი აღმოაჩინოთ, ჩვენ ნუ დაგვძრახავთ. ზემოხსენებულ მიზეზთა გამო ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია.

## ბომბარდირები

15 - დემეტრაძე „დინამო“
13 - უჯმაჯურიძე „ბათუმი“
11 - აშვეთია „ტორპედო“
10 - ქებაძე „მარგვეთი“, „ტორპედო“
9 - მ. მეგრელაძე „ტორპედო“
ზირაქიშვილი „გორდა“
იაშვილი „დინამო“
7 - ფანცულაია „ოდიში“
ცქიტიშვილი „დინამო“
ზოშერიკი „დინამო“
ა. ჯელაძე „გორდა“
გ. დარასელია „კოლხეთი“
მიქაბერიძე „კოლხეთი“

## მწვრთნელთა მიგრაცია 96–97

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| გორდა | იასონ ალადაშვილი | გიგლა იმნაძე |
| გურია | გიგლა იმნაძე | გია თავაძე |
| დილა | ნიკა ამირეჯიბი | სოსო ვაშაკიძე |
| კახეთი | ჯემალ მახარაშვილი | ჯონი ჯანელიძე |
| სამგურალი | თემურ კოხრეიძე | გივი ბაბუნიძე |
| სამტრედია | ქულივერ ელაშვილი | ბადრი ქორიძე |
| სიონი | ნოდარ ხიზანიშვილი | ანზორ გძელიძე |
| შევარდენი | უჩა ქანთარია | ელგუჯა ხუციშვილი |

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | თამაშები |
|---|---|---|---|
| **დინამო** დავით ყიფიანი | მ ნ. ლობჟანიძე (ცესკა, რუსეთი), მ კუდინოვი („ჟემჩუჟინა", რუსეთი), ნ ლ. კობიაშვილი („ალანია", რუსეთი), ნ ჯამარაული („ტრაბზონსფორი", თურქეთი), ნ ინალიშვილი („კრილია სოვეტოვი", რუსეთი), ნ გ. ჯელაძე, თ ხორგუაშვილი (ორივე „სოკოლ-პედ", რუსეთი), თ იაშვილი („ლიუბეკი", გერმანია), ნ ანჩაბაძე („?") | | თარაზი (ყაზახეთი) 2:0, ლანტანა (ესტონეთი) 4:2, დინამო (ტაჯიკეთი) 6:2, სკონტო (ლატვია) 0:0 პ 4:5, ელიმაი (ყაზახეთი) 0:1, ატაკა აურა (ბელარუსი) 1:2, ვორსკლა (უკრაინა) 1:4, ნურავშონი (უზბეკეთი) 1:1 პ 5:2, დინამო 2 6:0 |
| **ბათუმი** შოთა ჭეიშვილი | თ დ. მახარაძე („კოლხეთი"), ნ ვ. დარასელია (ცესკა 2, უკრაინა) | | სებასტოპოლი (თურქეთი) 4:0, 1:1 |
| **კოლხეთი** სოსო ფილია | ნ გაბოკიძე („ალანია", რუსეთი), მ შ. ხუჯაძე („ტორპედო"), ნ ბ. ამბიძე, თ მიმინოშვილი, თ სანულიანი (ყველა ?) | ნ ამაშუკელი („ლადა", რუსეთი), თ დ. მახარაძე („ბათუმი"), ნ ფანჩულიძე, თ ვ. გვასალია (ორივე „სამტრედია"), მ შ. გაბრიჭიძე („მალაროელი") | სტალ ალჩევსკი 0:4, კრემენი 1:0, (ორივე უკრაინა), ლოკომოტივი (ელეცი, რუსეთი) 4:0, დინამო (სტავროპოლი, რუსეთი) 0:0, არარატი (სომხეთი) 1:1, ნესებარი (ბულგარეთი) 1:2, კახეთი 4:0 |
| **მარგვეთი** ნოდარ კიკნაძე | მკ გ. ბოქორიშვილი, ნ გ. თურმანიძე, თ ჯ. ნიკლაური (სამივე „მეტალურგი", კრასნოიარსკი, რუსეთი), მ ფუანია („ვარდარი", მაკედონია), მ მალლაკელიძე, ნ მარლიშვილი, თ ქებაძე (სამივე „ტორპედო") | მ მერაბ თევზაძე, ნ ბუცურეიშვილი (ორივე „გურია"), ნ ქელიძე, თ უგულავა (ორივე „იმერეთი"), ნ მოსიკაშვილი („?", რუსეთი), ნ ჭანკვეტაძე („?", გერმანია), თ ჯურხაძე („საამგურალი") | ივერია 2:3, |
| **მერანი** თემურ მახარაძე | მ ზ. არჩვაძე („?", საბერძნეთი), მ კაკუბავა („ლადა", რუსეთი), მ კენჭიაშვილი (თამაშს თავი მიანება), თ პერტია („ვენდსპილი", ლატვია) | ნ გოგიტაძე („პუდუნი", ჩინეთი), მ ქველაძე, ნ ბაკურაძე (თამაში ორივეს მიტოვებული ჰქონდა), ცქიფურიშვილი („ეინერი"), თ დ. გოდერძიშვილი („გურია"), თ გაბისონია („სიონი") | ივერია 1:2 |
| **ოდიში** მერთაზ ზურცილავა | მკ ნაყოფია („გურია"), ნ ვეიქია („რუხი", პოლონეთი), ნ გ. კვარაცხელია („სამგურალი") | მკ გაბელია („ბათუმი 2"), ნ ო. კორილაძე („გურია") | შევარდენი 3:1, ტორპედო 2:1, სამტრედია 2:0, სამგურალი 2:0 |
| **გურია** გია თავაძე | მკ ვოლკოვი („დილა"), ნ ო. კორილაძე („ოდიში"), თ დ. გოდერძიშვილი („მერანი"), მ ფაცურია, მ ბერიძე (ორივე „გორდა"), მ მერაბ თევზაძე, ნ ბუცურეიშვილი (ორივე „მარგვეთი"), ნ ხოსროშვილი („სიონი"), ნ გვაიანიძე (?) | მკ ნაყოფია („ოდიში"), მ კ. სიდამონიძე („აუგსბურგი", გერმანია), თ გელაძე („მრეტები") | |
| **დილა** სოსო ვაშაკიძე | მ ბალაშვილი („ანგუშტი", რუსეთი), ნ გიორგი ლომიძე („ტორპედო"), ნ ზ. ჯურჩკაია (?) | მკ ვოლკოვი („გურია"), მ მჭედლიშვილი („სამტრედია"), ფხალაძე („არმაზი") | ცხინვალი 2:0 |
| **ტორპედო** სოსო ფრუიძე | მკ სულაძე, მ რუხაძე, მ შენგელაძე („ანგუშტი", რუსეთი), მ ვაშაკიძე (თამაშს თავი მიანება) | მკ კაკალეიშვილი („სამგურალი", ტრავმის გამო არ თამაშობდა), მ მალლაკელიძე, ნ მარლიშვილი, თ ქებაძე (სამივე „მარგვეთი"), მ ხვადაგიანი („სამტრედია"), მ შ. ხუჯაძე („კოლხეთი"), ნ გიორგი ლომიძე („დილა"), თ კ. მეტრეველი („სიონი") | ოდიში 1:2, სამგურალი 0:0, 5:0, 2:1 |
| **სამტრედია** ბადრი ქორიძე | მკ გრიგოლ ჭანტურია, ნ გეგეშიძე (ორივე „ვოლგა", რუსეთი), მ ხვადაგიანი („ტორპედო"), მ მჭედლიშვილი („დილა"), ნ გოგოლაძე („სიონი"), ნ ფანჩულიძე, თ ვ. გვასალია (ორივე „კოლხეთი") | ნ სალამი („ნეფჩი", აზერბაიჯანი) | ოდიში 0:2, სამგურალი 1:0, 1:2, 3:0 |
| **შევარდენი** ელგუჯა ხუციშვილი | მკ ვ. მოსულიშვილი (თამაშს თავი მიანება), მ ვ. ალადაშვილი, თ გოძიაშვილი („კახეთი"), მ პარასკევაშვილი (აშშ), თ ვ. მაჭავარიანი (?) | მკ ბათიაშვილი, მ ცოტაძე, მ გვაზავა (სამივე „შევარდენი 2") | დურუჯი 6:1 ახკ 4:0, ლოკომოტივი 2:4, ოდიში 1:3, კახეთი 3:2, 16 წლამდე ნაკრები 0:1 |
| **გორდა** გიგლა იმნაძე | ნ თ. მეტრეველი („?", საბერძნეთი), თ ა. ჯელაძე („ვენდსპილი", ლატვია), თ ზირაქიშვილი („ფარენსე", პორტუგალია), მ სილაგაძე, ნ რუხვაძე, თ ჩალაძე (სამივე „სკონტო", ლატვია), თ კ. ალადაშვილი („დოქსა", საბერძნეთი) | მკ შ. ქორიძე („ჟემჩუჟინა", რუსეთი), მ ფაცურია, მ ბერიძე (ორივე „გურია"), მ ახპინძელაშვილი („მორკინალი"), ნ კარანაძე, თ ლ. ალადაშვილი (ორივე რუსთავის სპორტსკოლიდან) | კახეთი 1:1, ივერია 0:1, სიონი 1:0 |
| **სამგურალი** გივი ბაბუნიძე | ნ ქურონია („ანგუშტი", რუსეთი), თ ესაიაშვილი („ვოლგა", რუსეთი), თ ჯურხაძე („მარგვეთი"), ნ ბრეგვაძე (?) | ნ გ. კვარაცხელია („ოდიში"), ნ ძაგნიძე („იმერეთი"), თ დ. ჯანელიძე („შემახტი"), თ კოლუაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდა) | ოდიში 0:2, სამტრედია 0:1, 2:1, 0:3, ტორპედო 0:0, 0:5, 1:2 |
| **ივერია** მალხაზ ლაცაბიძე | ნ კალმახელიძე (?), თ ნიჟნიკაძე („კაიზერსლაუტერნის საფეხბურთო სკოლა) | მკ აბაშიძე („გურია", ტრავმის გამო არ თამაშობდა), მ ჭაჭუა („კახეთი"), ნ თაბაგარი („აფაზა") | მარგვეთი 3:2, გორდა 1:0, მერანი 2:1, 16 წლამდე ნაკრები 0:1 |
| **სიონი** ანზორ გძელიძე | მ ჯიქიძე, ნ ქართუა (ორივე „კახეთი"), თ გაბისონია („მერანი), თ კ. მეტრეველი („ტორპედო"), თ უგულავა (თამაშს თავი მიანება), მკ ბაბუაძე („?", უკრაინა), ნ ყიფიანი („?", აშშ), ნ ქოიავა (?) | მკ წილაიძე („დინამო 2", ტრავმის გამო არ თამაშობდა), მ მოსეშვილი („კოდაკი"), ნ გოგოლაძე („სამტრედია), თ ა. და გ. ჭანტურიები („არმაზი"), ნ ხოსროშვილი („გურია"), მ ნაცვლიშვილი და ნ იხიანი (ბოლნისის სპორტსკოლიდან) | გორდა 0:1 |
| **კახეთი** ჯონი ჯანელიძე | მ ჭაჭუა („ივერია"), მ ათუაშვილი, მ კ. ნიკლაური, მ ხორავა, ნ მალამიერიძე, ნ გ. ლობჟანიძე (ყველა ?) | მკ პაქსაშვილი („დურუჯი", ტრავმის გამო არ თამაშობდა), მ ჯიქიძე, ნ ქართუა (ორივე „სიონი"), მ ვ. ალადაშვილი („შევარდენი"), მ ჯიკაევი („შირაქი"), ნ მაზანაშვილი („ლოკომოტივი"), თ გოძიაშვილი („შევარდენი") | ახკ 1:1, გორდა 1:1, შევარდენი 2:3, კოლხეთი 0:4 |

მკ — მეკარე, მ — მცველი, ნ — ნახევარმცველი, თ — თავდამსხმელი, „?" — ახალი კლუბი უცნობია, ? — მოთამაშის მომავალი უცნობია, X. — მოგვარე მოთამაშეთა ინიციალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყიფიანი წუთებით გეგმავს

დავით ყიფიანი გამოჯანმრთელდა და ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა. ჩვენც შეპირებული ინტერვიუ არ დავაყოვნეთ.

— ტრაბზონში ჩვენი ჩასვლის მიზანი იცით: ფეხბურთელებთან პირადი შეხვედრები მქონდა და მათი თამაშიც ვნახე. შოთა ისევ გუნდის ლიდერი და საუკეთესო მოთამაშეა, ფსიქოლოგიურადაც ჩინებულად არის მომზადებული, მოკლედ, ყველაფერი რიგზე აქვს.

არჩილმა გამაოცა! ამ ბიჭის თამაშმაც მომხიბლა და მისი ვაჟკაცობითაც აღფრთოვანებული ვარ — იმ საშინელი ტრავმის კვალიც კი არ ეტყობა. გარდა იმისა, რომ არჩილმა ორივე გოლში დაიდო წილი, ორთაბრძოლებშიც ხშირად ერთვებოდა და, რაც მთავარია, საერთოდ გაჰქრობია ტრავმის მიღების შიში! ვფიქრობ, არჩილი კიდეც მოუმატებს. ამაში ეს მოგებული თამაშებიც დაეხმარება — უფრო თავდაჯერებული იქნება.

ნემსაძეს მეტოქე ფეხბურთელის მეურვეობა ჰქონდა დავალებული და კარგადაც გაართვა თავი საქმეს. მე ნემსაძის დიდი დიაპაზონის ამბავი ვიცი, იმ მატჩში კი გიორგი მწვრთნელის დავალებას ასრულებდა და როგორღაც შეზღუდული იყო. ისე, ერთის მხრივ, ეს კარგიცაა, ამით ნემსაძე უნივერსალურობას ეჩვევა და ვინ იცის, ეს როდის გამოგვადგება... ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ყველა ფეხბურთელს ვეუბნები, ნაკრების წარმატებისთვის არაფერი უნდა დავზოგოთ და ყველა შესაძლო ვარიანტზე წავიდეთ-მეთქი.

ჯამარაულმა მხოლოდ ბოლო ხუთი წუთი ითამაშა, რაც უცხოელთა ლიმიტის ბრალია. ერთის მხრივ, ალბათ, კარგიცაა კონკურენცია — უფრო მეტს მოსთხოვს საკუთარ თავს. ტრაბზონული ოთხეულიდან გოჩამ ყველაზე ბოლოს დატოვა „დინამო“ და მისი შესაძლებლობები ჩემზე უკეთ არავის ესწავლება. ვესაუბრე ჯამარაულს და ვუთხარი, რომ მისი სკამზე ჯდომა დროებითია. ძალზე მესიამოვნა, რომ გოჩა ნაწყენია მწვრთნელზე. ასეც უნდა იყოს, რადგან თუ ფეხბურთელი სკამს შეეგუა, მისი საქმე წასულია.

**— ახლა გეზი რუსეთისკენ გაქვთ...**

— 16 მარტს ვლადიკავკაზში „ალანია“ — „კამაზის“ შეხვედრას დავესწრები. იმავე დღის მატჩს მოსკოვის „დინამოსა“ და ცესკას შორის ვიდეოფირზე ჩამიწერენ. დიდი სურვილი მაქვს, 21 მარტს ცესკა — „ალანიას“ ვუყურო, მაგრამ ალბათ თბილისში დავრჩები და მოსკოვში ძოძუაშვილი გაემგზავრება.

რაც შეეხება ჩიხრაძეს, როგორც შევიტყვე, იგი არ თამაშობს. ეს ძალზე ცუდია ნაკრებისთვის, ისევე როგორც ზაზა ჯანაშიას შესაძლო გადასვლა კორეაში. ქინქლაძეს ვარჯიში დაუწყია და მომდევნო მატჩს ითამაშებს. ქეცბაიას „პარი სენ ჟერმენთან“ თამაშის ფრაგმენტები ვნახე და ძალზე კმაყოფილიც დავრჩი. თუკი აეკი შემდეგ წრეში გავა, ესეც ნაკრების წისქვილზე დაასხამს წყალს — მოგებულის ფსიქოლოგია ისევ ჩვენ წაგვადგება სასიკეთოდ.

არც ქართულ გუნდებში მოთამაშე ნაკრების კანდიდატები გვავიწყდება. „ბათუმი“ — „კოლხეთის“ მატჩები ვნახე, ტოგონიძის, შეყილაძისა და მუჯირის თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. უეჭველად უნდა ვნახო ზუგდიდელი ბიჭები. არც სხვა პერსპექტიულ ახალგაზრდებს დავტოვებ უყურადღებოდ. 15 მარტს ალბათ, „ოდიში“ — „ბათუმის“ თამაშს დავესწრები.

**— სომხების არჩამოსვლა რამდენად შესაძლებელია?**

— სომხები აუცილებლად გვეწვევიან 30 მარტს. ახალკაცს და იმათი ფედერაციის პრეზიდენტ სარქისიანს არაერთხელ ჰქონდათ ამის შესახებ საუბარი. 13 საათზე მცხეთაში ახალგაზრდული ნაკრებები ითამაშებენ, 17 საათზე თბილისში კი ეროვნული გუნდები. 12 საათზე ნაკრებს თამაშისწინა მითითებებს მივცემ და მცხეთას წავალ მატჩის სანახავად, მისი დამთავრებისთანავე კი თბილისს გამოვეშურები.

**— სომხები უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვლენ?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ოგანესიანი რომ თბილისში თავის შესარცხვენად არ ჩამოვა, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— მოკლედ, დრო წუთებით გქონიათ განაწილებული...**

— რას იზამთ, ცხოვრებამ მოიტანა.

**მამუკა ქვარაცხელია**

# ჟორდანია პრეზიდენტთა პრეზიდენტია

გუშინწინ „დინამოს“ ოფისში საქართველოს პირველი ჯგუფის კლუბების პრეზიდენტებს დიდი ბჭობა ჰქონდათ გამართული. მერაბ ჟორდანიამ ამ შეხვედრის ჩვენთვის ყველა საინტერესო დეტალზე მოგვაწოდა ინფორმაცია.

— ამას წინათ უკვე გვქონდა მსგავსი შეხვედრა და მაშინ გადავწყვიტეთ, რომ შექმნილიყო პრეზიდენტთა საბჭო, რომელიც ფეხბურთის ფედერაციასთან მჭიდროდ ითანამშრომლებდა და კლუბების საქმიანობას დიდად წაადგებოდა. უეფამ რეკომენდაცია მისცა ყველა ქვეყანას მსგავსი ორგანიზაციები შეექმნათ და რამდენადაც ვიცი, ჩვენ ყველაზე ადრე შევქმენით ეს საბჭო, რომელსაც ეყოლება პრეზიდენტი, მდივანი, ბუღალტერი და ხუთკაციანი გამგეობა. გარდა ამისა, საბჭო დააფუძნებს ფონდს, რომელიც ქართული კლუბების განვითარებას მოხმარდება. უკვე გვაქვს წესდება და მცირეოდენი კორექტივების შემდეგ ალბათ იუსტიციის სამინისტროსაც წარვუდგენთ დასამტკიცებლად.

**— რამდენიმე დღის წინ თქვით, ტელეგადაცემების უფლებებზე ვაპირებთ საერთო აზრის შემუშავებასო...**

— შევიმუშავეთ კიდეც. როდესაც გაირკვევა ევროტურნირებზე გამსვლელი გუნდების ვინაობა, შევიკრიბებით და გადავწყვეტთ, ამ კლუბებისთვის რომელ ტელეკომპანიებთან უფრო მომგებიანი იქნება კონკრეტულ მატჩზე ხელშეკრულების დადება. ვიმსჯელებთ, ავწონ-დავწონით და საერთო აზრს გამოვიტანთ. ზემოთ გითხარით, რომ საბჭოს ექნება ფონდი, რომელიც ისევ კლუბებს წაადგება, ოღონდ ყველა კაპიკი დათვლილი და აღრიცხული იქნება — თანხა, გარწმუნებთ, მიზნობრივად დაიხარჯება. ჩვენი კლუბები ამიერიდან კაპიკს აღარ დაკარგავენ ტელეტრანსლაციიდან...

**— პრეზიდენტი ვინ იქნება?**

— კლუბების პრეზიდენტებმა უკვე შემომთავაზეს ეს პოსტი. ფაქტიურად, თანახმა ვარ. ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება მაქვს, ფონდშიც ყველაზე მეტი „დინამოს“ ფული შევა, მაგრამ მზად ვარ გავილო ჩემი კლუბის შემოსავლიდან ამგვარი ხარჯი, თუკი იგი ქართულ კლუბებს ახეირებს...

**— საბჭოში ყველა კლუბის პრეზიდენტი იქნება?**

— გუშინწინდელ შეკრებას რამდენიმე მათგანი საპატიო მიზეზთა გამო აკლდა, ჩაჩუამ რუსეთიდან დაგვირეკა და მოგვიბოდიშა. 30 მარტს დღის 12 საათზე სომხებთან თამაშამდე საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება და ვინც არასაპატიო მიზეზით გააცდენს, ან უკიდურეს შემთხვევაში მოუცლელობის გამო მოადგილეს არ გამოაგზავნის, ჩავთვლით, რომ ჩვენთან მუშაობა არ სურს.

**— „გასვლით“ სხდომებს მოაწყობთ?**

— აუცილებლად. მორიგი სხდომა 30 მარტის მერე, ალბათ, ქუთაისში გაიმართება. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ტორპედოს“ პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ. ეს პიროვნება სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ქუთაისში ფეხბურთის აღორძინებით და ვფიქრობ, ქუთაისელები მხარში უნდა ამოუდგნენ მას. არაა გამორიცხული, მომავალში მეორე ჯგუფის კლუბების ხელმძღვანელებიც შემოვიდნენ საბჭოში. მთავარია, კლუბი უეფას მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს — ან სააქციო საზოგადოება იყოს, ანაც შეზღუდული პასუხისმგებლობისა.

ბოლო ხანს პრესაში ისეთი აზრი ჩამოყალიბდა, თითქოს მე „ბოსმანური წესების“ დაკანონებას მოვითხოვდე. არადა, „ბოსმანის კანონის“ საქართველოში ამოქმედების წინააღმდეგი ვარ. უეფა ჯერ არ გვაძალებს. ჩვენც რა გვრჯის? ამით ჩვენი კლუბები დაზარალდებიან. მე ვთქვი, რომ ქართველ ფეხბურთელებზე, რომელთაც უცხოურ კლუბებთან კონტრაქტის ვადა გაუვათ, გავრცელდეს ბოსმანის წესი და კლუბისგან განთავისუფლდნენ. აი, ამის მომხრე ვარ და უეფას პროფესიული კომიტეტის მორიგ სხდომაზე ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებ.

**მამუკა ქვარაცხელია**

## ხვალ სეზონისწინა პრეს-კონფერენციაა

ხვალ, 14 საათზე „დინამოს“ ოფისში გაიმართება თბილისის „დინამოს“ ტრადიციული სეზონისწინა პრეს-კონფერენცია. ჟურნალისტებს კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი შეხვდებიან.

# ზოგჯერ ხათრიც მარგებელია

**დღეს საქართველოს ნაკრებს მეკარის პრობლემა ნამდვილად არ აქვს. მართლაც, რომელი უნდა გამოარჩიო — ზოიძე, ტოგონიძე, დევაძე, ჩხეიძე... თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე ყიფიანმა ამათ ჩინეთში მოთამაშე ჟორჟოლიანიც დაუმატა. ეროვნული გუნდის შესაძლო მეკარე უკვე ხუთია, მაგრამ მომავალში მათი რაოდენობა, შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. ყოველ შემთხვევაში, რუსთავის „გორდაში“ დაბრუნებულ მამუკა ქორიძეს ამის პერსპექტივა ნამდვილად აქვს. ასეთ ნიჭიერ მეკარეს აქამდეც უნდა ეთამაშა ნაკრებში, მაგრამ იღბალმა ზურგი აქცია და ამან კარიერაზეც იმოქმედა — ხან ოჯახური მდგომარეობა უშლიდა ხელს, ხანაც კლუბი ვერ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს. 1987 წელს კი... ზონინის დროინდელ „დინამოში“ ახალმიწვეული იყო, გუნდი სეზონისწინა შეკრების მოსაწყობად მიდიოდა ლესელიძეში. მამუკაც მათ შორის გახლდათ, მაგრამ...**



— წარმოიდგინე, როგორ გამიხარდა თბილისის „დინამოში“ მიწვევა, 18 წლის ვიყავი და დილმის ბაზაზე მისულს კიდევ არ მჯეროდა, „დინამოში“ რომ უნდა მევარჯიშა. სამწუხაროდ, ბედმა არ გამიღიმა. სამ დღეში ლესელიძეში უნდა გავმგზავრებულიყავი, მაშინდელ მთავარ მწვრთნელს გერმან ზონინს წამსვლელთა სია უკვე შედგენილი ჰქონდა. სიხარულისგან ფრთაშესხმული შინ, რუსთავში ჩაველი, მშობლებს ვუთხარი, „დინამოსთან“ ერთად შეკრებაზე მივდივარ-მეთქი და უკან დავბრუნდი. მეორე დღეს, ვარჯიშზე კი ხელი მოვიტეხე. ასე დასრულდა ჩემი რამდენიმედღიანი კარიერა თბილისის „დინამოში“.

**— შემდეგ?**

— შემდეგ ისევ რუსთავის „მეტალურგში“ დავბრუნდი. 1988 წლის სეზონი რუსთავში გავატარე და რევაზ ძოძუაშვილმა ქუთაისის „ტორპედოში“ მიმიწვია. ქუთათურები მაშინ საკავშირო პირველობის პირველ ლიგაში გამოდიოდნენ. მეც მეტი რა მინდოდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თამაში ჩემთვის უდიდესი სკოლა იყო. გაიხსენე, როგორი კლასის გუნდები თამაშობდნენ იმ დროს პირველ ლიგაში. ასაკით, მგონი, ყველაზე პატარა ვიყავი. თუმცა, არც იქ დამცალდა დიდხანს თამაში. ერთი წლის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. თავიდან „ტორპედოში“ დავიწყე, შემდეგ კი ისევ რუსთავში დავბრუნდი. „გორდას“ შემადგენლობაში ორჯერ ეროვნული ჩემპიონატების პრიზიორიც კი გავხდი. ისე, ჩემპიონობაც შეგვეძლო, ძლიერი გუნდი გვყავდა: კუდინოვი, გიორგი კილასონია, მიქაშავიძე, ძმები კაპანაძეები, ფანცულაია, ავაქიანი, მწვრთნელი კი გივი ნოდია იყო.

**— სოჭის „ჟემჩუჟინაში“ როგორ აღმოჩნდი?**

— 1995-ში სოჭელები დამიკავშირდნენ, მთხოვეს მათთან გადავსულიყავი. კარგი პირობები შემომთავაზეს, მეც ავიკარი გუდა-ნაბადი და რუსეთს გადავბარგდი. ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, თუმცა ორ თვეში შინ დავბრუნდი.

**— ჰკი კარგი პირობები შემომთავაზესო?**

— ასეც იყო, მაგრამ დაპირება ერთია, შესრულება მეორე. არადა, ყველაფერი კარგად დაიწყო. სოჭში ჩაველი თუ არა, გუნდი საბერძნეთს გაემგზავრა მოსამზადებლად. იქ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ, შემდეგ სოჭში დავბრუნდით, კიდევ ვითამაშეთ ამხანაგური მატჩები და, ფაქტობრივად, ჩემი დარჩენაც გადაწყვეტილი იყო. სულ მე მაყენებდნენ ძირითადში და გოლი არ გამიშვია. ამასობაში რუსეთის ჩემპიონატიც დაიწყო. გუნდის სხვა ფეხბურთელებთან ერთად სასტუმროში ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი ოჯახის სოჭში ჩაყვანის სურვილი არ მაძლევდა მოსვენებას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კლუბის ხელმძღვანელებს ვთხოვე, ბინა მომეცით-მეთქი. მითხრეს, ჩამოიყვანე ცოლ-შვილი, ჩვენ აეროპორტში დაგხვდებით და ახალ ბინაში წაგიყვანთო. ჩავიყვანე ოჯახი, დაბინავებით კი ისევ სასტუმრო „ჟემჩუჟინაში“ დაგვაბინავეს. იცი, ქართველი კაცისთვის ცოტა ძნელია სასტუმროში სხვა ფეხბურთელებთან ერთად ცხოვრება და უკან წამოსვლა გადავწყვიტე. თანაც, კლუბში ფინანსური პრობლემები გაჩნდა. ჩემთან ერთად „ჟემჩუჟინა“ რვა ფეხბურთელმა დატოვა.

**— ადრე „ჟემჩუჟინაში“ ბევრი აფხაზი თამაშობდა...**

— ჩემ დროს ერთი აფხაზილა იყო — საიდ თარბა. კარგის მეტი არაფერი მეთქმის ამ ბიჭზე. საბერძნეთამდე იგი ნანახი არ მყავდა. მე მოგვიანებით შევუერთდი ფეხბურთელებს, როცა გუნდმა ვარჯიში დაიწყო. როგორც დამინახა, თარბამ ბურთი გადააგდო და ჩემსკენ გამოიქცა, გადამეხვია, მომიკითხა, ქართველი მეგობრების ამბები გამომკითხა. ასეთ თბილ შეხვედრას არ ველოდი და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც. მერე კი დავრწმუნდი მის კარგ ბიჭობაში. დროის უმეტეს ნაწილს ერთად ვატარებდით, სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობდით, პოლიტიკაზე საუბარსაც არ ვერიდებოდით.

**— რაო, რას ამბობდა?**

— მნიშვნელოვანი არაფერი უთქვამს. ეს იყო — ხშირად იხსენებდა სოხუმს. გულდაწყვეტილი იყო — ჩვენს შორის კონფლიქტი არ უნდა მომხდარიყოო. იმ დროს არაფერი სჯობდა, როცა ერთად ვცხოვრობდითო, მეუბნებოდა. სოჭში გაჩერება მისთვის აუტანელი იყო, სოხუმი ენატრებოდა. მგონი, ჩემთან ერთად თარბამაც დატოვა „ჟემჩუჟინა“ და სოხუმში დაბრუნდა.

**— „ჟემჩუჟინადან“ წამოსვლის შემდეგ გაუჩინარდი და თითქმის წელიწადნახევარი უგუნდოდ იყავი.**

— ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერცერთ გუნდში ვერ ჩავირიცხე. საქმე ის იყო, რომ „ჟემჩუჟინა“ ჩემში სატრანსფერო თანხის გადახდას ითხოვდა. ამის საშუალება კი ქართულ კლუბებს არ ჰქონდათ და ამიტომაც ვიყავი უსაქმოდ. ახლა ყველაფერი მოგვარდა. რევაზ ჩელებაძემ და გიგლა იმნაძემ „გორდაში“ მიმიწვიეს, პრობლემებიც მოაგვარეს და ცოტა ხანში ავთამაშდები კიდეც.

**— ცოტა ხანშიო, ამბობ. როდის?**

— მეკარისათვის სამი-ოთხი თამაშის გამოტოვებაც კი ბევრს ნიშნავს, მე კი წელიწადზე მეტხანს ვიყავი უვარჯიშებელი და ასე უცებ ფორმაში შესვლა ძნელია. ვივარჯიშებ, თამაშებსაც ჩავატარებ და მერე ვნახოთ. ალბათ, მაისის ბოლოს სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

**— ახალგაზრდულ გუნდს როგორ შეეგუე?**

— ამ ფეხბურთელებს ბავშვობიდან ვიცნობ. მჯერა მათი და მათ მომავალშიც დარწმუნებული ვარ. თუმცა, დიდ ფეხბურთამდე ჯერ ბევრი უკლიათ.

**— ტანმაღალი კი ხარ, მაგრამ კარიდან გამოსვლისას მთლად მშვიდად ვერ გრძნობ თავს...**

— ეს ხომ ქართველი მეკარეების სენია. თითქმის ყველას უჭირდა და უჭირს გამოსვლებზე თამაში. თუმცა სიმაღლე აქ არაფერ შუაშია. ბევრია მაღალი მეკარე, მაგრამ უჭირს გამოსვლები. ალბათ, აქაც ნიჭი წყვეტს ყველაფერს. როცა კარიდან გამოდიხარ, ბევრია ისეთი ნიუანსი, რომლებსაც ზედმიწევნით ზუსტად შესრულება სჭირდება.

**— ფეხბურთის თამაში მეკარედ დაიწყე თუ თავიდან წინ თამაშობდი?**

— ვარჯიში საკმაოდ გვიან, 12 წლისამ დავიწყე. მანამდე ეზოს ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი და მეკარე საერთოდ არ ვყოფილვარ. ერთ მშვენიერ დღეს მეზობელმა „მეტალურგის“ სტადიონზე წამიყვანა და თავის მეგობრებს — თამაზ დოდაშვილსა და მურმან გოგოლაძეს სთხოვა, ეს ბიჭი ავარჯიშეთო. აბა, ამის საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა. პირველივე ვარჯიშზე ისე მოხდა, რომ მეკარე არ გვყავდა. მურმან გოგოლაძემ მთხოვა, იქნებ კარში დადგეო. მწვრთნელს ხათრს როგორ გავუტეხავდი და პირველად ცხოვრებაში მეკარეობამ მომიწია. გოგოლაძე აღტაცებული დარჩა ჩემი თამაშით და მას მერე კარს არ მოვცილებივარ.

**— ასე გვიან რატომ დაიწყე ვარჯიში?**

— სანამ ფეხბურთზე მივიდოდი, ცეკვაზე დავდიოდი. კარგად ვცეკვავდი, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო თავი დავანებე. ასე აღმოვჩნდი ფეხბურთში.

— როგორც კი მამუკა ქორიძე ჩვენთან სავარჯიშოდ მოიყვანეს, მაშინვე ვიგუმანე, ეს ბიჭი მეკარედ უნდა გავზარდო-მეთქი. ერთ-ერთ ვარჯიშზე შეგნებულად ვთხოვე, კარში დამდგარიყო. რომ დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ კარგი მეკარე დადგებოდა. მას თანდაყოლილი ნიჭი და მეკარისთვის აუცილებელი ყველა თვისება ჰქონდა — მაღალი იყო, ტექნიკურად და ტაქტიკურად მშვენივრად აზროვნებდა. მოკლედ, მეკარის აზროვნება ჰქონდა. ერთადერთი ნაკლი მისი ფიზიკური სისუსტე იყო. იმდენად გამხდარი იყო, ტრუსები არასდროს ჩაუცვამს, სულ სპორტული შარვლით თამაშობდა — მეგობრების სცხვენოდა. თუმცა, ავტორიტეტი კარგი თამაშით მოიპოვა. მამუკა კახი ცხადაძესთან, ჯაბა წიკლაურთან, გიორგი კილასონიასთან ერთად თამაშობდა. იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც დიდი ფეხბურთი ითამაშა და ახლაც თამაშობს.

ერთ ამბავს გავიხსენებ. 1984 წელს რუსთავში გაზეთ „იზვესტიას“ პრიზის გათამაშება ტარდებოდა. პირველი ადგილი ჩვენ დავიკავეთ. ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე გავრილ კაჩალინმა მამუკა ახლოს რომ იხილა, გვითხრა — ამ ბიჭს ყურადღება მიაქციეთ, საუცხოო მონაცემები აქვს და იქნებ თბილისის „დინამოში“ გაუხერხოთ ადგილიო. „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანი მაშინ ახალდანიშნული იყო. ყიფიანმაც აღნიშნა ქორიძის კარგი თამაში, მაგრამ თქვა, ჯერ „მეტალურგში“ ითამაშოს და „დინამოში“ მერე წავიყვან, რაც უნდა იყოს, ჯერ პატარაა, გამოცდილება შეიძინოს და ჩვენთან მერე უფრო გაუადვილდებაო. მართალიც იყო. თავად მამუკასთვისაც ასე სჯობდა. 1986 წელს „მეტალურგმა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა და მაშინდელ მეორე ლიგაში თამაში ქორიძისთვის კარგი სკოლა იყო. მართალია, გელა ჭანტურიას სათადარიგო იყო, მაგრამ მასაც ხშირად უწევდა კარის დაცვა. ყოველთვის ვაკვირდებოდი მამუკას და მოხიბლული ვიყავი მისი თავდაჯერებული თამაშით, მუდამ მჯეროდა და დღესაც მწამს, რომ მამუკა ქორიძე ერთ-ერთი უძლიერესი მეკარეა საქართველოში და არამარტო ჩვენში. ეგაა — უიღბლობა თან სდევდა. „დინამოში“ ხელი მოიტეხა, არც სოჭის „ჟემჩუჟინაში“ გაუმართლა, მოკლედ, უიღბლოა. თუმცა, მე ვიცი მისი ხასიათი, ბავშვობიდან ჩემთან იზრდებოდა და ვიტყვი, რომ მისი ბრალიცაა, ჩრდილში რომ მოექცა. მჯერა, რომ წლევანდელ სეზონში იგი ძველებურად ათამაშდება და ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებასაც დაიმსახურებს.

ეს მონოლოგი მამუკა ქორიძის ბავშვობისდროინდელი მწვრთნელის, ამჟამად რუსთავის „გორდას“ მწვრთნელ-სელექციონერის მურმან გოგოლაძისგან მოვისმინეთ. მას შეგნებულად ვთხოვეთ თავისი აღზრდილის შესახებ აზრის გამოთქმა, რამეთუ გოგოლაძის არ იყოს, თითქმის ყველა სპეციალისტი დარწმუნებულია ამ მეკარის უზადო ოსტატობასა და დიდ პოტენციალში. იქნებ სანაკრებოდ ისიც გამოგვადგეს. თუმცა, ამის შესახებ კვლავ მამუკას დავეკითხეთ:

— რა ვიცი, ნაკრებზე ჯერ არ მიფიქრია. ამდენი ხნის უვარჯიშებელ-უთამაშებელი ვარ და სათამაშო პრაქტიკა მაკლია. ხომ გითხარი, მაისის ბოლოსთვის ალბათ ჩვეულ ფორმაში ვიქნები და მერე ვნახოთ. თუ შევატყობ ჩემს თავს, რომ უწინდებურად ავთამაშდი, თუ დავიბრუნე ყველა საუკეთესო თვისება, მაშინ ნაკრებზეც ვიფიქრებ და პრეტენზიაც მექნება, თუ არა და...

**კობა ინასარიძე**

## ინგლისი

### ლიგის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩი

**უიმბლდონი 1:1 ლესტერი**

**უიმბლდონი: ხალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი, ერლი, ვიკუ, გეილი, ეკლი (პერფორდი 76), პერი**

**ლესტერი: კელერი, გრეისონი, უოტსი, უოლში, იზეტი, ლენონი, კლერიჯი (რობინსი 119), პარკერი, მეისონი, პრაიორი, ლოურენსი (ტეილორი 105)**

**გოლი: გეილი (23), გრეისონი (53)**

სამი დღის წინ „უიმბლდონი" თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, ლიგის თასზე კი ამ ეტაპს ველარ გასცდა. მეტოქეთა პირველი შეხვედრა 0:0 დასრულდა. ახლაც ფრეს დაყაბულდნენ, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლის წყალობით ფინალის საგზური „ლესტერმა" იგდო ხელთ.

მატჩის დაწყება და ლონდონელთა აწყვეტა ერთი იყო, ისინი არც თავს ზოგავდნენ და არც მეტოქეს, მაგრამ მატჩის პირველი სახიფათო მომენტი მაინც მათ კართან შეიქმნა: ჰესკის საჯარიმოს გარედან გასროლილი სალივანმა აკრობატული ნახტომით მოიგერია. „უიმბლდონმა" მეტოქეს სამი შეტევით უპასუხა, თუმცა ყველა აცილა. ტაიმის შუაში მასპინძელთა ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. გეილმა, ვინაც მეოთხედფინალში ერთადერთი გატანილი ბურთით „ასტონ ვილა" ფინალის გზას ჩამოაშორა, ახლაც იმარჯვა — ეკოკუს გარჯა დაუფასა და კელერს მარცხნივ შეუგდო. მეორე ტაიმში, თამაშის განახლებიდან ათიოდ წუთში სტუმრებს გაუმართლათ: მათ ერთ-ერთ შეტევას მასპინძლებმა წესის დარღვევით უპასუხეს. პარკერის მიერ დარტყმული ჯარიმა გრეისონმა თაურით დაასრულა — სალივანი უძლური იყო.

## პრემიერლიგა

### XXIX ტურის ბოლო მატჩი

**ლივერპული 4:3 ნიუკასლი**

**ლივერპული: ჯეიმსი, კვარმე, მაკატირი, რაიტი, ბარნსი, რედნეპი, ბერგერი, ბიორნებიუ, მატეო, მაკმანამანი, ფაულერი**

**ნიუკასლი: ჰისლოპი, ბარტონი, ბეტი, პიკოკი, უოტსონი, კლარკი (ჟინოლა 46), ელიოტი, ალბერი, ბერდსლი (ფერდინანდი 46; კროუფორდი 56), ასპრილია, გილესპი,**

**გოლი: მაკმანამანი (29), ბერგერი (30), ფაულერი (42, 92), გილესპი (71), ასპრილია (87), ბარტონი (88)**

40 ათასმა მაყურებელმა საუცხოო წარმოდგენა იხილა. მეტოქეებმა სრულიად განსხვავებული ტაიმები ითამაშეს. პირველი ტაიმის უპირატესობა „ლივერპულმა" სამი უპასუხო გოლით ასახა. ჯერ ჯეისონ მაკატირის ფლანგურ გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, იქ კი მაკმანამანმა ბურთი მოათვინიერა და მის დარტყმულს ჰისლოპი ვერ შეწვდა — გოლი ჩინებული იყო. 60 წამში ჩეხმა ბერგერმა სეზონში მერვედ იხეირა. შესვენებამდე სამი წუთით ადრე კი ფაულერმა გამოიყენა რედნეპის უზადო პასი — ბოლომდე იბრძოლა და სტუმართა კარის დარაჯს მესამედ გამოატანინა ბურთი კარიდან. დალგლიშმა მინდორზე ჟინოლა და ფერდინანდი შეუშვა, თუმცა, ფრანგისგან განსხვავებით, რომლის ბრწყინვალე თამაშმა „ნიუკასლს" გააყაიმებინა, ფერდინანდმა მინდორზე მხოლოდ ათი წუთი დაჰყო — ტრავმა გაუმიზეზდა. 71-ე წუთზე გილესპიმ ერთი ბურთი გაქვითა. „ნიუკასლის" შეტევები უფრო სახიფათო გახდა. ბოლო სამმა წუთმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ იყო და, ჟინოლას ჩაწოდებულს ასპრილიამ თავი დაახვედრა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, წუთნახევარში კი ბარტონმა გაათანაბრა. ცოტაც და „ლივერპულის" დაბოღმილი გულშემატკივრები იფეთქებდნენ კიდეც, მაგრამ ფაულერმა შეაგდო. სასწაული განმეორდა: „ლივერპულმა" შარშანაც 4:3 მოუგო შინ „ნიუკასლს", შარშანაც ბოლო სამ წუთში სამი გოლი გავიდა, ოღონდ მაშინ 87-ე წუთამდე „ნიუკასლი" იგებდა 3:2-ს.

### გამოტოვებული მატჩი

**ბლექბერნი 1:1 ნოტინგემი**

**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლეხო, გალაჰერი, უილკოქსი, პედერსენი (უორჰარსტი 85), მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი**

**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, ჯემილი, ხონდერსი (მაკგრეგორი 89), ჰაალანდი (უოენი 46), როი (კლაფი 73), ვან ჰუიდონკი**

**გოლი: ჰაალანდი (18), გალაჰერი (64)**

სამშაბათს „ნოტინგემმა" ბოლო რვა მატჩში მეორედ გაიტანა. სტუმრებმა პირველივე მატჩში ათამაშეს ახალშეძენილი ჰოლანდიელი ფორვარდი პიერ ვან ჰუიდონკი, რომელმაც საგრძნობლად გააძლიერა „ნოტინგემის" თავდასხმა. ინგლისელებმა გლაზგოს „სელტიკს" ოთხნახევარი მილიონი გირვანქა გადაუხადეს ჰოლანდიელში და, თუ სტიუარტ პირსის მიერ მატჩის შემდეგ გამოთქმულ აზრს დავუჯერებთ, არც შემცდარან.

მერვე წუთზე კროსლის გალაჰერის დარტყმულის აღება მოუხდა. ათ წუთში უკვე მეტოქის მეკარეს მოუწია ოფლის ღვრა, მაგრამ ფლაუერსს ამაოდ ჩაუარა გარჯამ: ლიტლმა ჰაალანდს მიაწოდა, ამან კი „ბლექბერნის" გოლკიპერს შანსი არ დაუტოვა. გოლის გატანა და მატჩის დასრულება ჰაალანდისთვის ერთი იყო — იგი დაშავდა და შეცვალეს. მატჩი განახლდა და საუცხოოდ ათამაშა პედერსენი. დანიელი სტუმართა მცველების გაბითურებასაც ახერხებდა, გონივრული პასების გაკეთებასაც და დროდადრო კარშიც არტყამდა. სწორედ პედერსენის დაწყებული კომბინაცია დაასრულა გოლით გალაჰერმა: პერმა შერვუდი გარღვევაზე გაიყვანა, ამან დაარტყა, ხარიხის ასხლეტილს კი გალაჰერმა შედეგიანად დაამატა.

## პირველი დივიზიონი

### გამოტოვებული მატჩი

**ბირმინგემი 2:0 სიტი**

**სიტი: რაიტი, ბრაითველი, ჰორლოკი, ლომასი, საიმონსი, ბისლი (კრუქსი 10), სამერბი, მაკგოლდრიკი, დიკოვი (ყაველაშვილი 67), ინგრემი, როსლერი**

**გოლი: ფარლონგი (51 პ), ფრენსისი (69)**

გიოს გუნდმა ცხრა წაუგებელი მატჩის შემდეგ სამი ქულა დაკარგა. თან, რაც მანჩესტერელებს კლარკი თავკაცობს, პირველად იყო, რომ ჩემპიონატის მატჩში „სიტიმ" დამარცხებულმა დატოვა მინდორი. მასპინძლებმა მართლაც ჩინებულად ითამაშეს, რაც ნამდვილად არ ითქმოდა სტუმრებზე. ნოემბრის შემდეგ „ბირმინგემმა" პირველად მოიგო ზედიზედ მეორე შეხვედრა. „სიტის" მარცხში ბრალი „ბირმინგემის" ტანმაღალმა ფორვარდებმა — ფარლონგმა და ფრენსისმა დაიდეს: მასპინძელთა ყოველ შეტევას საჯარიმოში ჩაკიდება მოჰყვებოდა ხოლმე, ეს ორი კი გოლის შეგდებას ცდილობდა. შესვენებიდან ექვს წუთში გოლიც გავიდა — ფრენსისი კვლავ ჩაწოდებულის მიღებას ცდილობდა, მაგრამ მაკგოლდრიკმა იგი მინდორზე დასცა. ფარლონგმა უხეში სტუმრები დასაჯა და თერთმეტმეტრიანით ჩემპიონატში მეათე გოლი გაიტანა. ტაიმის შუაში კლარკმა კარგა ხნის უთამაშებელი ყაველაშვილი გამოიყვანა. მიშას ეტყობოდა, რომ შეუთამაშებელი იყო. ალბათ, ამიტომაც არ გამოუჩენია დიდად თავი. მისი შესვლიდან ორ წუთში მანჩესტერელებმა მეორე გაუშვეს. მასპინძლებმა არჩეულ ტაქტიკას არ უღალატეს და შეტევას ჩაწოდება მოაყოლეს. საჯარიმოში კი ბურთს ფრენსისი შეწვდა და თაურით მეორედ შეარხია რაიტის კარის ბადე.

**სამშაბათს გაიმართა კიდევ ერთი გამოტოვებული შეხვედრა: ბოლტონი — შეფილდ იუნაიტედი 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 37 | 21 | 12 | 4 | 80:46 | 75 |
| ვულვზი | 36 | 19 | 8 | 9 | 52:35 | 65 |
| ბარნსლი | 35 | 17 | 11 | 7 | 59:42 | 62 |
| შეფილდი | 36 | 16 | 10 | 10 | 61:42 | 58 |
| ნორვიჩი | 37 | 15 | 10 | 12 | 55:56 | 55 |
| იფსვიჩი | 36 | 14 | 13 | 9 | 51:44 | 55 |
| კრისტალ პალ. | 35 | 14 | 11 | 10 | 65:38 | 53 |
| პორტ ვეილი | 37 | 12 | 15 | 10 | 44:43 | 51 |
| სტოკ სიტი | 35 | 14 | 9 | 12 | 44:45 | 51 |
| ტრანმერი | 35 | 14 | 8 | 13 | 48:46 | 50 |
| პორტსმუთი | 35 | 14 | 8 | 13 | 42:39 | 50 |
| სვინდონი | 37 | 14 | 7 | 16 | 50:54 | 49 |
| ქუინზ პარკი | 36 | 12 | 11 | 13 | 47:48 | 47 |
| ოქსფორდი | 36 | 13 | 7 | 16 | 48:48 | 46 |
| ჩარლტონი | 35 | 13 | 7 | 15 | 43:50 | 46 |
| ბირმინგემი | 35 | 12 | 10 | 13 | 42:42 | 46 |
| სიტი | 35 | 13 | 6 | 16 | 44:47 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 10 | 14 | 13 | 58:62 | 44 |
| ჰადერსფილდი | 37 | 11 | 11 | 15 | 41:52 | 44 |
| რედინგი | 34 | 11 | 10 | 13 | 45:52 | 43 |
| გრიმსბი | 35 | 8 | 10 | 17 | 46:66 | 34 |
| ბრედფორდი | 36 | 8 | 10 | 18 | 38:60 | 34 |
| საუთენდი | 37 | 7 | 12 | 18 | 35:68 | 33 |
| ოლდემი | 34 | 7 | 10 | 17 | 34:46 | 31 |



ლივერპული — ნიუკასლი. კოლუმბიელი ასპრილია დანიელი კვირმეს წინააღმდეგ

## გერმანია

### XXII ტური

**კარლსრუე 2:3 ბოხუმი**

**0:1 კეცლი (2), 1:1 კირიაკოვი (9), 1:2 შტიკროტი (34), 2:2 ფინკი (47), 2:3 დონკოვი (56)**

**ვერდერი 2:1 ზანქტ პაული**

**0:1 შერცი (18), 1:1 ბრენდი (37), 2:1 შოლცი (51)**

**ჰამბურგი 2:1 გლადბახი**

**1:0, 2:0 სალიჰამიჯიჩი (56,74), 2:1 ლუპესკუ (88 პ)**

**შალკე 04 4:0 დუისბურგი**

**1:0 ანდერბრიუგე (4), 2:0 ჰელდი (66), 3:0 მაქსი (71), 4:0 ემერლინგი (90 საკ. კარში)**

**კიოლნი 1:5 შტუტგარტი**

**1:0 შტაინმანი (20), 1:1, 1:2 ბობიჩი (21, 33), 1:3 ელბერი (55), 1:4 ბობიჩი (86), 1:5 ლიშტესი (89)**

28 სექტემბრის შემდეგ „შტუტგარტმა" პირველი მატჩი მოიგო სტუმრად. მაგრამ მოგებაც არის და მოგებაც. ნაკრების ფორვარდი ფრედი ბობიჩი ჰეთ-ტრიქის წყალობით ბომბარდირობის უპირველესი კანდიდატი გახდა. „კიოლნი" 65 წუთის შემდეგ ათი კაცით თამაშობდა — უხეშობისთვის კოსტნერი გააგდეს. „კარლსრუე" — „ბოხუმის" შეხვედრაში საინტერესო მოვლენები ბოლო წუთზე დატრიალდა. მასპინძელთა მეკარე რაიტმაიერმა თანაგუნდელთა დახმარების მიზნით მეტოქის საჯარიმოს მიაშურა. თანაგუნდელებს კი დაეხმარა, მაგრამ მსაჯმა გატანილი გოლი არ ჩაუთვალა და სწორადაც მოიქცა.

## ესპანეთი

### XXVIII ტურის ბოლო მატჩი

**რეალი 2:1 რასინგი**

**0:1 კორეა (45), 1:1 რაული (65), 2:1 ზეედორფი (67)**

მთელი შეხვედრის განმავლობაში მასპინძლები ბატონობდნენ, თუმცა უპირატესობა შედეგზე ვერ აისახა. ტაიმის ბოლო წამებზე სანტანდერელთა ურუგვაელმა ფორვარდმა ფერნანდო კორეამ მასპინძლებს სახეირო მომენტების გაფუჭება არ აპატია და 8 მეტრიდან შეაგდო. შესვენების შემდეგ 19 წლის ვარსკლავის რაულის 14 მეტრიდან უძლიერესად დარტყმული არ ასცდა კარს, ორ წუთში კი ჰოლანდიელმა ზეედორფმა ისარგებლა სტუმართა მეკარის შეცდომით და სამი ქულა მოუტანა „რეალს".



უტევს კლარენს ზეედორფი

## წარმატება თავს ატკივებს

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „პორტუს" 4:0 მოუგო და ინგლისელებმა უკვე ფინალზე დაიწყეს ფიქრი. ისინი შეშფოთდნენ, რადგან ამ შეჯიბრების მიუნხენში დანიშნული ფინალი 28 მაისს გაიმართება, მათ ეროვნულ გუნდს კი 31 მაისს პოლონეთში აქვს მსოფლიოს პირველობის შესარჩევი სათამაშო. ეს იმას ნიშნავს, რომ დევიდ ბექემისა და გარი ნევილის გულისთვის „იუნაიტედის" მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს და ნაკრების თავკაცს გლენ ჰოდლს დავა მოუწევთ. გასარჩევი იქნება ფილ ნევილის საქმეც, რომელსაც ხან ახალგაზრდულ ნაკრებში ათამაშებენ, ხანაც ეროვნულში. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-ატაშემ განაცხადა, რომ ქვეყნის ფეხბურთის მმართველთ მოლაპარაკების იმედი აქვთ.

— ორმა მწვრთნელმა უნდა ითათბიროს და გადაწყვეტილება მიიღოს — თქვა მან — დღეს ჩვენ არ ვართ მზად რაიმე კომენტარისთვის, რადგან ჯერ რეალური არაფერია. ალბათ ამ თემაზე ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის წინ ვიმსჯელებთ.

ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, პოლონეთ — ინგლისის თარიღის შეცვლა შეუძლებელია.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა.


# ბავშვთა კვება



# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

**ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა**

**Gerber** კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

**Gerber** 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

**Gerber** ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი" იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

☎ 39-47-83

**საფრანგეთში** ყურადღება მიაქციეს, რომ გასულ სეზონთან შედარებით მიმდინარე ჩემპიონატში სტადიონებზე გაცილებით მეტი ხალხი დადის. მარტივმა დათვლამ გამოავლინა, რომ სადღეისოდ, შარშანდელთან შედარებით, თამაშებს 188 ათასით მეტი გულშემატკივარი დასწრებია. არადა, შარშან ფრანგ ვარსკვლავთა უმეტესობა შინაურ კლუბებში გამოდიოდა. ვარაუდობენ, რომ პირველობის დამთავრებამდე აღნიშნული მაჩვენებელი მეტად გაიზრდება და ერთი წლის წინანდელს 300 ათასით აჯობებს. ქვეყნის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ნოელ ლე გრეტმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ზოგი სტადიონი საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ახლდება და რემონტის გამო მაყურებელთა შესაძლო რაოდენობას ვერ იტევს.

**ესპანეთის** ჩემპიონისა და ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალისტის მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილმა მორიგი სკანდალი მოაწყო. ხილი ხილს არ ეჭაშნიკა, რომ მისი ორი არგენტინელი ფეხბურთელი ხუან ესნაიდერი და დიეგო სიმეონე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ორი თამაშით დასაჯა და დაიმუქრა, ოთხშაბათს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩს ბოიკოტს მოვუწყობთო. მართლაც, „ატლეტიკო" სამშაბათს არ ჩავიდა ბარსელონაში და სასტუმროში ადრეული შეკვეთა გააუქმა. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში მეტოქეებმა 2:2 ითამაშეს. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ხესუს ხილი ხილი საპრეზიდენტო საქმიანობას ახლახანს დაუბრუნდა, რადგან შარშან, „კომპოსტელას" პრეზიდენტის გალახვისთვის ათთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. რჯიდა სიტყვამ სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებანი მოიტანა, ვიტყვით, რომ ერთმანეთთან ძიძგილაობისთვის ოთხი თამაშით მოკვეთეს „ბილბაოს" ფრანგი მცველი ბიქსენტ ლისარასუ და „სარაგოსას" არგენტინელი ნახევარმცველი კრისტიან გონსალესი.

**იაპონიის** მოქალაქემ 1989 წლიდან, მანამდე კი ბრაზილიელმა რუი რამუშმა წინა კვირის ამხანაგურ მატჩში დიდი ალიაქოთი ატეხა, რისთვისაც ოთხთამაშიან დისკვალიფიკაციას გამოკრა ხელი. რამუში ორმოცი წლისაა და „კიოტო ფარფლ სანგაში" თამაშობს, მისი დანაშაული კი ის გახლდათ, რომ ჯერ გადაწყვეტილება დაუწუნა არბიტრს, მერე, წითელ ბარათზე კი სულ გადაირია. და მაინც, ყველაზე საინტერესო ამ ისტორიაში ის იყო, რომ ბრაზილიელმა მსაჯის გასაგებად იაპონურად იგინა. ადრე რამუში „ვერდი კავასაკიში" გამოდიოდა, სადაც კარგ მოთამაშედ იყო ცნობილი. მან 1993 და 1994 წლებში „კავასაკის" გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი დაიდო, შარშან მაისში კი თავის ახლანდელ გუნდს მიაშურა.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა გრემ კელიმ „მანჩესტერ იუნაიტედის" დანიელი მეკარის პიტერ შმაიხელის და „არსენალის" ინგლისელი ზანგი თავდამსხმელის იან რაიტის შერიგება მოითხოვა. ამ ორი მოთამაშის შუღლი საყოველთაოდ გახდა ცნობილი. მათი გუნდების შეხვედრაში რაიტმა შმაიხელს კინაღამ სერიოზული ტრავმა მიაყენა. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯს ოფსაიდი ჰქონდა დასტვენილი, მან უხეშად გაიწია მეკარისკენ. მატჩის შემდეგ შმაიხელი და რაიტი გასამჟღავნებელნი გახდნენ, ჩხუბის მთავარ მიზეზად კი დანიელის რასისტული გამონათქვამები იქცა. ზემოხსენებულმა მოხელემ განაცხადა, რომ თუ დაპირისპირებულნი შერიგდებიან, ფეხბურთის ასოციაცია მათი დასჯისგან თავს შეიკავებს. მისი თქმით ორივე ფეხბურთელი ათასობით ადამიანის კერპია, კერპთაგან ასეთი ქცევა კი ყოვლად დაუშვებელია. თუ მოთამაშეები საჯარო დაზავებას არ ისურვებენ, მაშინ, კელის აზრით, ფრიად არასასურველი ვერდიქტია მოსალოდნელი.

**იტალიაში** ნეაპოლის ეპისკოპოსმა, კარდინალმა მიქელე ჯორნადომ ფეხბურთს ხალხისთვის ოპიუმი უწოდა. „ფეხბურთი კვირაობით მბრძანებლობს და გულშემატკივრებს ეკლესიას აცილებს. მომავალში ასე აღარ იქნება, ფეხბურთი ხალხს ნამდვილ პრობლემებს ვერ ჩამოაცილებს" — იქადაგა მეუფე მიქელემ.

**იტალიურმა** „პარმამ" ამ სეზონში საოცარი წინსვლა შესძლო. დეკემბრისთვის გუნდი გასავარდნთა ჯგუფს ერთი ქულით უსწრებდა, ახლა კი ლიდერ „იუვენტუსს" ხუთი ქულით ჩამორჩება და საჩემპიონო ამბიციაც გაუჩნდა. „პარმას" მწვრთნელმა, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა კარლო ანჩელოტიმ „გაძეტა დელო სპორტს" განუცხადა, მეორე ადგილზე უკვე ვართ, აწი პირველი გვინდაო. სეზონის დასაწყისში ცუდი თამაში ანჩელოტიმ ასე ახსნა: ჩვენ ბევრი რამ შევცვალეთ: მოთამაშეები, ტაქტიკა, ასე რომ, ჩავარდნა მოსალოდნელი იყო. მართალია, აღნიშნული ცვლილებებით ვრისკავდით, მაგრამ ასეთია თამაშის წესი". მწვრთნელმა განაცხადა, რომ მას ეცინება კრიტიკოსთა იმ ნაწილის მოსმენისას, „პარმას" ზედმეტად კოლექტიურ თამაშსა და ფანტაზიის ნაკლებობას რომ აბრალებენ. „იტალიაში სხვა კულტურაა, ხალხი შედეგს ითხოვს, ასე რომ, შედეგი უდრის სანახაობას. სხვა მხრივ კი ფეხბურთი კინოსავითაა, არსებობს სცენარი, ამის შემდეგ კი მოთამაშეები მსახიობებსავით თავისუფალნი არიან". მიუხედავად ასეთი ოპტიმიზმისა, ანჩელოტიმ აღიარა, რომ „იუვენტუსი" „პარმაზე" ძლიერი გუნდია, თუმცა იგი სუპერგიგანტის ჩამოყალიბებას ლამობს და თუ ფეხბურთელებიც აყვნენ, გამორიცხული არაფერია.

**ჰოლანდიის** წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს ამსტერდამის „აიაქსის" ნახევარმცველი რონალდ დე ბური. გამოკითხვაში საკუთრივ ფეხბურთელები მონაწილეობდნენ, რომელთაც დე ბურს 1994 წლის შემდეგ მეორედ დასდეს ასეთი პატივი. მეორე ადგილზე გავიდა 1987, 1988 და 1995 წლების გამარჯვებული ფეიენოორდელი რონალდ კუმანი, მესამე კი „ეინდჰოვენის" ბელგიელი ფორვარდი ლუკ ნილისი გახდა. იმედისმომცემთა შორის „ჰერენვენის" თავდამსხმელმა ჯონ დალტომასონმა იმარგა, საუკეთესო მეკარედ ზედიზედ მესამედ „აიაქსის" ედვინ ვან დერ სარი თქვეს, მწვრთნელთა მწვრთნელის ჯილდო კი ამსტერდამელმავე ლუის ვან გაალმა შეიძინა.

**ინგლისში** დანიელ დიკიომ უარი განაცხადა „ქუინზ პარკიდან" „უიმბლდონში" გადასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ კლუბები ერთ მილიონად მორიგებულნიც კი იყვნენ. ყველას ეუცნაურა, რომ მოთამაშემ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერ გუნდში გადაბარგება შორს დაიჭირა, მაგრამ დიკიომ ყველაფერი განმარტა. მისი თქმით, ზაფხულზე იგი თავისუფალი აგენტი გახდება და ყველა ღონეს იხმარს საზღვარგარეთ წასასვლელად, ამიტომაც ახლა ახალ გუნდში გადასვლა მის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის" უელსელ გოლკიპერს ენდი დიბლს, მან შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" მიაშურა. „რეინჯერსს" ენდი გორამი და თეო სნელდერსი ერთდროულად დაუშავდა, დიბლს კი „სიტის" ახალი მწვრთნელი ფრენკ კლარკი აღარ ათამაშებდა. „ბირმინგემ სიტი" კი „რედინგის" ნახევარმცველს, 20 წლის ბრაიან ჰიუზს უპირებს გადაყვანას. ჰიუზმა უელსური კლუბის ინგლისის თასის მეოთხედფინალში გაყვანაში ლომის წილი დაიდო. როგორც იტყობინებიან ტრანსფერი მილიონ დოლარადაა შეფასებული და ახლა საქმე ფეხბურთელის პირად ხელფასზეღაა.

**საფრანგეთის** ლიგის თასის ფინალისტმა „სტრასბურმა" ახალი მეპატრონე შეიძინა. იგია კომპანია IMG, რომელმაც კლუბის აქციათა 49 პროცენტში 5 მილიონი ფრანკი ანუ 870 ათასი დოლარი გადაიხადა. IMG მარკ მაკგორმიკის ამერიკული ორგანიზაციაა, რომლის ფრანგულ განყოფილებას ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავი პატრიკ პრუაზი თავკაცობს. პრუაზი ამიერიდან „სტრასბურის" პრეზიდენტობასაც შეეჭიდება. გენერალური მენეჯერობა ამჟამად „პარი სენ ჟერმენში" მომუშავე საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ჟანფრანსის დომერგს შესთავაზეს. დომერგი ამ კვირაში მოიფიქრებს პასუხს. პრუაზის გეგმა ხუთ წელიწადში კლუბისთვის 150 მილიონი ფრანკის დახარჯვას მოიცავს. იგი აპირებს „სტრასბური" ქვეყნის ჩემპიონი გახადოს, IMG-ს კი აქციათა წილი გაუზარდოს. ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გუნდის ლიდერები, თავდამსხმელი დავიდ ზიტელი და გამთამაშებელი პასკალ ნუმა არ გაიყიდებიან. პირიქით, „სტრასბური" სხვა ვარსკვლავებს შეიძენს. ამრიგად გუნდი, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონი ერთადერთხელ 1979 წელს იყო, შემდეგ ლიგიდან გავარდა და უძლიერესთა შორის 1993 წელს დაბრუნდა, ახალ ცხოვრებას იწყებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ნორვეგიული** „ბრანის" მწვრთნელი კიელ ტენფიორდი იმედიანადაა. იგი თვლის, რომ თასების თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „ლივერპულს" დიდ წინააღმდეგობას გაუწევს და არც შემდგომ ეტაპზე გასვლას გამორიცხავს. პირველ შეხვედრაში, ნორვეგიაში, „ბრანმა" და „ლივერპულმა" 1:1 ითამაშეს. „მეტოქემ პირველ თამაშში გვაჯობა, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ დაცვაში შეცდომებს უშვებს" — თქვა ტენფიორდმა.

**იტალიელი** რობერტო ბაჯო სათამაშოდ არგენტინაში გადავა. ასეთი უცნაური ცნობა ყოველდღიურმა „ოლე სპორტმა" გამოაქვეყნა. გაზეთი საკუთრივ ფეხბურთელის სიტყვებს დაეყრდნო: „ამჟამად ჩემი თავისთან ხილვა ორ არგენტინულ გუნდს სურს. მე მიმწონს არგენტინა. იაპონიასა და საფრანგეთში წასვლას ამ ქვეყანაში ძალთა მოსინჯვა მიჯობს". 30 წლის ფეხბურთელით დაინტერესებული გუნდები „ბოკა ხუნიორსი" და „რივერ პლეიტი" არიან. „ოლეს" თქმით, ბაჯოს აგენტი ბარენდ კრაუზი აღნიშნულ საქმეს აუცილებლად მოაგვარებს. „რობერტო არიგო საკის ხელში კალაპოტიდან ამოვარდა. საკი ხომ ნიჭიერ ფეხბურთელებს ვერ იტანს" — თქვა კრაუზმა.

**შოტლანდიის** თასის ნახევარფინალში დაწყვილდნენ: კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი (14 აპრილს გაიმართება) და სელტიკი — ფალკირკი (12 აპრილს). ქვეყნის პირველობაზე კი სამშაბათს „კილმარნოკმა" შინ 2:0 აჯობა „სელტიკს". გოლები გაიტანეს რაიტმა (24) და ბარკმა (74).

**საბერძნეთის** ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში თემურ ქეცბაიას აეკ-მა 6:1 მოუგო „ათინაიკოსს". ახლა აეკ-ს 52 ქულა აქვს და ლიდერ „ოლიმპიაკოსს" ექვსი ქულით ჩამორჩება.

**ესპანეთში** „სარაგოსა" ბილბაოს რომ სტუმრობდა, თამაშის მე-15 წუთზე პოლიციის მიერ დაუდგენელმა მაყურებელმა მოედანზე სატკაცუნო ისროლა, რომელიც სარაგოსელთა ავსტრიელ მეკარეს ოტო კონრადს შარში მოხვდა, გასკდა და ნაპერწკლებით მარჯვენა თვალი დასწვა. ბასკი გულშემატკივრები ასეთმა გამოხდომამ თავად აღაშფოთა, რაც გამოხატეს კიდეც, საკაცეზე გაწოლილი გოლკიპერი კი ოვაციით გააცილეს. კონრადი, ბუნებრივია, დაუყოვნებლივ საავადმყოფოში მიიყვანეს, საიდანაც საიმედო ხმა გამოვიდა — ორშაბათამდე იგი სრულიად გამოჯანმრთელდება. კონრადს, რომელიც „სარაგოსაში" სეზონის დასაწყისში გადავიდა, არც ადრე წყალობდა ბედი. 1994 წელს, ავსტრიული „კაზინოს" კარს რომ იცავდა, ჩემპიონთა ლიგაში „მილანის" წინააღმდეგ შეხვედრაში ტრიბუნიდან ბოთლი გაარტყეს თავში. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ბილბაოში მომხდარი ინციდენტი განიხილა და ამ ქალაქის „სამ მამესის" სტადიონს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

**ავსტრიის** პირველობის შაბათის მატჩი „ადმირა ვაკერი" — „ლინცი" 1:1 დამთავრდა, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით იგი 0:3-ით შეიცვლება. საქმე ისაა, რომ „ადმირას" მწვრთნელს კურტ გარგერს ჰგონებია, სამი ცვლილება მეკარის გარდა შეიძლებაო და ჯამური ოთხი შეცვლა მოახდინა. საინტერესოა, რომ ეს მსაჯსაც გამოეპარა. იმ შეხვედრაში „ადმირას" გოლკიპერი ფრანც გრუბერი ლინცელ გიუნტერ ცელერთან შეჯახებისას სასტიკად დაშავდა. მეკარეს კვირას ხუთსაათიანი ოპერაცია ჩაუტარეს. ცხადია, იგი დარჩენილ სეზონს გამოტოვებს.

**ჩილეს** ნაკრების მწვრთნელი ნელსონ აკოსტა, მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე გასვლას რომ იჩქარება, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. 2 აპრილს ჩილე ბრაზილიასთან ამხანაგურ მატჩს თამაშობს, მანამდე კი აკოსტას შეკრება ჰქონდა დაგეგმილი, რომელზეც 24 ფეხბურთელი გამოიძახა. ბაზაზე მისულს მხოლოდ 12 შეგირდი დაუხვდა ადგილზე. მწვრთნელი საოცრად აღშფოთდა და მომხდარს უპატივცემულობა უწოდა. მოგვიანებით აკოსტამ განმარტა, რომ „კოლო კოლოს" მოთამაშეებს ადმინისტრაციული შეცდომების გამო შეკრების თაობაზე არა შეუტყვიათ, „კობრელოას" წევრები კი გამოძახებულნი იყვნენ და მათი საქციელი აღშფოთების ღირსია.



**არგენტინული** პოლიციის ცნობით, კვირას დააპატიმრეს ოთხმოცამდე აყალმაყალის მოყვარული, რომელთა მიზეზით ქვეყნის პირველობის შეხვედრა „ინდეპენდიენტესა" და „რასინგს" შორის 45 წუთით გვიან დაიწყო. „რასინგის" გულშემატკივრებმა მოედანზე იმდენი მაშხალა და ქაღალდის ნაკუწი გადაყარეს, რომ მეხანძრეებს გვარიანი ოფლის მოდენა მოუხდათ: ცოტა ხნით ადრე, სტადიონის მისადგომებთან „ინდეპენდიენტეს" მავანი ქომაგი დანით დაჭრეს კიდეც, დაჭრილი აველანედას საავადმყოფოში გააქანეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ბოლოს, როგორც იქნა მატჩიც შედგა, რომელშიც „ინდეპენდიენტემ" 2:1 გამარცდჯვება იზეიმა.

**იტალიის** ნაკრების მწვრთნელთაგან დაწუნებულმა ჯუზეპე სინიორიმ განაცხადა, რომ ინგლისში არაფრისდიდებით გადავა. ფეხბურთელს, რომელიც ბოლო ოთხ სეზონში სამჯერ საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ცალკე „არსენალი" ექაჩებოდა, ცალკე „ჩელსი" და ცალკე „ნიუკასლი". „ფეხბურთს თავს 2000 წელს დავანებებ, როდესაც 32 წლის ვიქნები, მანამდე კი „ლაციოსთან" ერთად იტალიის ჩემპიონობის მოგებას ვაპირებ. ჩვენმა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ დამარწმუნა, რომ „ლაციო" უახლოეს წლებში აუცილებლად მიაღწევს დიდ შედეგს და მე მისი მწამს" — თქვა ფეხბურთელმა.

**ინგლისის** თასის ნახევარფინალში „ჩელსი" „უიმბლდონს" ხვდება, ხოლო „მიდლსბრო" — „ჩესტერფილდს". მოგეხსენებათ, ამ ეტაპზე შეხვედრები ნეიტრალურ მინდვრებზე იმართება ხოლმე. პირველი წყვილი 13 აპრილს „არსენალის" სტადიონ „ჰაიბრიზე" ითამაშებს, ხოლო მეორე იმავე დღეს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე". თუ საჭირო გახდა, გადათამაშებები 22 აპრილს გაიმართება.

**საფრანგეთში** „ლანსმა" იუგოსლაველი მწვრთნელი სლავო მუსლინი მოხსნა და მის ნაცვლად საფრანგეთის არმიის გუნდის ყოფილი თავკაცი როჟე ლემერი გაამწვრთნელა.

**იტალიის** ჩემპიონ ტურინის „იუვენტუსს" ტრავმებმა შეუტია. კვირას „სან სიროზე" „ინტერთან" შეხვედრაში მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა მორენო ტორიჩელიმ მარჯვენა ფეხის მყესები დაიზიანა და ამ დღეებში ოპერაცია ელის. ტორიჩელი ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს. იგი მეორეა ტურინელთაგან, ვინც ხანგრძლივი დროით გამოაკლდა გუნდს. პირველი საქართველოს ნაკრებთან მატჩში 9 ოქტომბერს დაშავებული „ბებერი ქალბატონის" კაპიტანი ანტონიო კონტე გახლავთ. რაც შეეხება „ინტერის" მწვრთნელს ინგლისელ როი ჰოჯსონს, მან იმავე შეხვედრაში, რომელშიც ტორიჩელი დაშავდა, შაჯი გალანძღა. მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ პიერლუიჯი კოლინამ და მისმა ასისტენტმა პირველ ტაიმში „იუვენტუსის" ოთხი შეტევიდან სამი თამაშგარე ვერ შენიშნეს.

**იტალიის** ფეხბურთელთა კავშირმა ფლორენციაში იმსჯელა და დაადგინა, რომ ამიერიდან გოლის გატანით გახარებული ფეხბურთელები, რომლებიც ემოციას ხანდახან ერთობ უცნაურად გამოხატავენ, არ უნდა გააფრთხილონ. კავშირის თავკაცის სერჯო კამპანას თქმით, სიხარულისთვის ადამიანის დასჯა დანაშაულია.

**საფრანგეთის** ნაკრების თავდამსხმელი რობერ პირე მუხლის დაშავების გამო ერთ თვეს გააცდენს. პირემ მუხლი შაბათს დაიზიანა, მისი „მეცი" „კანს" რომ ეთამაშებოდა. ფეხბურთელი 2 აპრილს საფრანგეთისა და შვედეთის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრას გააცდენს. სამფეროვანთა მწვრთნელის ემე ჟაკეს თქმით, პირეს ტრავმა ეროვნულ გუნდზე მეტად „მეცს" შეუშლის ხელს, რადგან ზაფხულში დაგეგმილ ოთხთა ტურნირზე იგი სრულიად ჯანმრთელი ითამაშებს.

**ინგლისური** „ნოტინგემ ფორესტი" პრემიერლიგიდან გავარდნას შიშობს. განსაკუთრებით ცუდად გუნდს თავდამხმაში აქვს საქმე. ჩემპიონატისა და თასის ბოლო შვიდ შეხვედრაში ნოტინგემელმა ფორვარდებმა ერთადერთი გოლის გატანა მოახერხეს. კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად კლუბმა აქამდე გლაზგოს „სელტიკში" მოთამაშე ჰოლანდიელი ფეხბურთელი პიერ ვან ჰუიდონკი შეიძინა. ეს ტრანსფერი საბოლოოდ 4,5 მილიონ გირვანქად შეფასდა. კონკრეტულად ასეა: თუ ჰოლანდიელის გოლები „ნოტინგემს" პრემიერლიგაში დატოვებს, ინგლისელები შოტლანდიურ კლუბს ჯერ სამ მილიონს, მოგვიანებით კი 500 ათასს გადაურიცხავენ. ამის შემდეგ, თუ მომდევნო ორ სეზონში ჰუიდონკი 20-20 გოლის შეგდებას შეძლებს, „სელტიკის" ყულაბა დამატებითი მილიონით შეივსება. ეს თანხა ნოტინგემელთა პატრონების მიერ გამოყოფილი ახალი 16,5 მილიონის ნაწილია. საგულისხმოა, რომ ამ ტრანსფერმა კლუბის ახალი რეკორდი დაამყარა. აქამდე ყველაზე მეტი ჰოლანდიელისვე ბრაიან როის ყიდვისას ჰქონდა გადახდილი. „ცხადია „სელტიკის" დატოვება სევდას მგვრის, იქ ორი წელიწადი გავატარე, გულშემატკივრებიც საუცხოოდ მეპყრობოდნენ, მაგრამ ვთვლი, რომ სხვა გუნდში გადასასვლელად სწორი მომენტი შევარჩიე" — თქვა ჰუიდონკმა, რომელსაც შოტლანდიის მიმდინარე პირველობაზე 30 თამაშში 16 გოლი ჰქონდა შეგდებული, გასულ სეზონში კი 34 მატჩში 26-ჯერ ივარგა. სხვათაშორის, ბოლო ხანს ფეხბურთელს „სელტიკთან" გარკვეული წინააღმდეგობებიც ჰქონდა. კერძოდ, თვლიდა, რომ მისთვის იმდენივე უნდა გადაეხადათ, იტალიელ თანაგუნდელს პაოლო დი კანიოს რომ უხდიდნენ.




სტიუარტ პირსი ვან ჰუიდონკს წარუდგენს ნოტინგემელ ჟურნალისტებს

სარბიელი

# სპორტული ლატარია
# "CROCO"

## გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXIII ტური

14-16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — დორტმუნდი | 2,4 | 2,6 | 2,5 |
| ზანქტ პაული — ჰამბურგი | 2,4 | 2,6 | 2,5 |
| ბოხუმი — ვერდერი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| დუისბურგი — კარლსრუე | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ბაიერნი — შალკე | 1,4 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ლევერკუზენი — არმინია | 1,25 | 3,6 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| ფრაიბურგი — მიუნხენ 1860 | 2,5 | 2,6 | 2,4 |
| ჰანზა — დიუსელდორფი | 1,9 | 3,0 | 3,1 |
| მიონხენგლადბახი — კიოლნი | 2,0 | 2,8 | 3,1 |

## გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. XXI ტური

14-17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გიუტერსლოო — ვოლფსბურგი | 2,9 | 2,8 | 2,1 |
| კაიზერსლაუტერნი — ურდინგენი | 1,4 | 3,2 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ოლდენბურგი — კარლ ცაისი | 2,6 | 2,7 | 2,3 |
| ლიუბეკი — კიკერსი | 2,1 | 2,9 | 2,8 |
| ცვიკაუ — უნტერჰახინგი | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| მანჰაიმი — მეპენი | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ფორტუნა — აინტრახტი | 2,1 | 2,8 | 2,9 |
| ლაიპციგი — ჰერტა | 2,6 | 2,7 | 2,3 |
| როტ ვაისი — მაინცი | 2,5 | 2,6 | 2,4 |

## ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXX ტური

15-17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ვესტ ჰემი | 1,4 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ბლექბერნი — უიმბლდონი | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ჩელსი — სანდერლენდი | 1,3 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| ევერტონი — დერბი ქაუნთი | 1,7 | 2,7 | 4,4 |
| ლესტერი — მიდლსბრო | 1,8 | 2,9 | 3,5 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — შეფილდ უენსდეი | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| ნიუკასლი — ქოვენტრი | 1,3 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ნოტინგემი — ლივერპული | 3,4 | 3,0 | 1,8 |
| საუთჰემპტონი — არსენალი | 2,7 | 2,8 | 2,2 |
| ტოტენჰემი — ლიდსი | 1,8 | 2,8 | 3,6 |

## ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXVIII ტური

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი — ნორვიჩი | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| გრიმსბი — მანჩესტერ სიტი | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — პორტსმუთი | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| იფსვიჩი — ბოლტონი | 2,3 | 2,7 | 2,6 |
| ოლდემი — ვულვერჰემპტონი | 5,3 | 3,5 | 1,4 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,9 |
| პორტ ვეილი — ჩარლტონი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| რედინგი — ბრედფორდი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| შეფილდ იუნაიტედი — ოქსფორდი | 1,3 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| საუთენდი — ქუინზ პარკი | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| სვინდონი — სტოკ სიტი | 2,0 | 2,7 | 3,2 |
| ტრანმერი — ბარნსლი | 2,7 | 2,6 | 2,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი | 1,8 | 3,0 | 3,4 |

## იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXIV ტური

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — რომა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| მილანი — ფიორენტინა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| პარმა — ინტერი | 2,1 | 2,8 | 2,9 |

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ნაპოლი | 1,8 | 2,7 | 3,8 |
| კალიარი — ვიჩენცა | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ლაციო — ატალანტა | 2,2 | 2,7 | 2,8 |
| სამპდორია — რეჯანა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| უდინეზე — პერუჯა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ვერონა — პიაჩენცა | 2,0 | 2,9 | 3,0 |

## ესპანეთის ჩემპიონატი. XXIX ტური

16-17 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ვალენსია | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| სევილია — სპორტინგი | 2,0 | 2,8 | 3,1 |
| ლოგრონიესი — ბარსელონა | 5,3 | 3,5 | 1,4 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,8 |
| კომპოსტელა — ვალიადოლიდი | 2,1 | 2,8 | 2,9 |
| ტენერიფე — ბილბაო | 2,0 | 2,8 | 3,1 |
| სარაგოსა — ესტრემადურა | 1,5 | 3,1 | 5,3 |
| სოსიედადი — რეალი | 2,4 | 2,6 | 2,5 |
| რასინგი — სელტა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ესპანიოლი — დეპორტივო | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ოვიედო — ერკულესი | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| რაიო ვალეკანო — ბეტისი | 2,7 | 2,8 | 2,2 |

## საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIX ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — მონპელიე | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| ნიცა — ნანტი | 5,6 | 3,4 | 1,4 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,8 |
| ოსერი — კანი | 1,4 | 3,3 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლილი — ნანსი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მეცი — ლანსი | 1,4 | 3,2 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბორდო — კაენი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| ლე ავრი — პარი სენ ჟერმენი | 2,8 | 2,7 | 2,2 |
| მარსელი — სტრასბური | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| ლიონი — გინგამი | 1,7 | 2,8 | 4,2 |

## პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — სალგეირუში | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| ბრაგა — შავეში | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| გიმარაეში — ამადორა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ჟილ ვისენტე — ლეირია | 2,2 | 2,7 | 2,8 |
| პორტუ — სპორტინგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლეცა — ბოავიშტა | 2,0 | 2,9 | 3,0 |
| მარიტიმუ — ესპინიუ | 2,0 | 2,9 | 3,0 |
| რიუ ავე — ფარენსე | 2,1 | 2,8 | 2,9 |
| ბელენენსეში — სეტუბალი | 1,8 | 2,9 | 3,5 |

## შოტლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — დანდი იუნაიტედი | 2,0 | 2,9 | 3,0 |
| ჰარტსი — ჰიბერნიანი | 2,0 | 2,8 | 3,1 |
| კილმარნოკი — მოზერველი | 2,1 | 2,7 | 3,0 |
| რეით როვერსი — დანფერმლაინი | 2,2 | 2,7 | 2,8 |

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — რეინჯერსი | 2,3 | 2,6 | 2,7 |

## ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური

15-16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი — როდა | 1,4 | 3,2 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბრედა — ტილბურგი | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| ფეიენოორდი — ვალვაიკი | 1,1 | 5,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| ეინდჰოვენი — სიტარდი | 1,1 | 5,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| ნაიმეგენი — გრონინგენი | 2,1 | 2,8 | 2,9 |
| ჰერენვენი — სპარტა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ვიტესი — გრააფშხაპი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ტვენტე — ვოლენდამი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| უტრეხტი — ალკმაარი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

## ბელგიის ჩემპიონატი. XXVII ტური

15-16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მუსკრონი — გენკი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლომელი — სტანდარდი | 1,9 | 2,7 | 3,4 |
| მეხელენი — ბრიუგე | 4,7 | 3,3 | 1,5 |
| შარლერუა — ეკერენი | 2,0 | 2,6 | 3,3 |
| ლოკერენი — გენტი | 2,0 | 2,7 | 3,2 |
| ანტვერპენი — ჰარელბეკი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| სერკლ ბრიუგე — ლიერსი | 6,5 | 4,0 | 1,25 |
| 1:0 | 2,7 | 3,4 | 1,7 |
| ანდერლეხტი — სტრასბური | 1,4 | 3,3 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| აალსტი — მოლენბეკი | 2,9 | 2,8 | 2,1 |

## თურქეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

14 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — დენიზლისფორი | 1,1 | 5,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 5,0 |

15 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — სამსუნსფორი | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| ტრაბზონსფორი — ისთანბულსფორი | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |

16 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურსასფორი — ფენერბაჩე | 5,3 | 3,5 | 1,4 |
| 1:0 | 1,9 | 3,4 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9
ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

# CROCO-2

## ტირაჟი №24

1. იუვენტუსი — რომა
2. მილანი — ფიორენტინა
3. პარმა — ინტერი
4. ბოლონია — ნაპოლი
5. კალიარი — ვიჩენცა
6. ლაციო — ატალანტა
7. სოსიედადი — რეალი
8. შტუტგარტი — დორტმუნდი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექვსეული კი არა, ხუთეული

უპირველესად გაცნობებთ, რომ კალათბურთის ფედერაციამ საბოლოოდ გაარკვია, რა სისტემით ითამაშებენ გუნდები ბოლო ეტაპზე. ექვსეულში მეექვსე შედეგის მქონე „მაკაბი" ცხრილის ქვედა ნაწილის გუნდებს შეუერთდება. ჯერაც არ არის გარკვეული, გააგრძელებს თუ არა გათამაშებას თბილისის „მერანი". მაკაბელთა გამოთიშვა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდებიდან იმით ახსნეს, რომ „მაკაბი" ამათ ღირსეულ მეტოქეობას ვერ გაუწევს. რაც შეეხება ხუთეულს, გუნდები სამჯერ შეხვდებიან ერთმანეთს და ფლეი-ოფში გასვლისთვის იბრძოლებენ.

ვერის ბაღი. 11 მარტი

**ვითა — აზოტი 114:90**

**ვითა:** ტურაშვილი (27), უჩტიაშვილი (5), კოკოლიშვილი (5), ნაცვლიშვილი (20), ბერუაშვილი (25); თორთლაძე, ხხეიძე (24), ტულუში (8)

**აზოტი:** გაბისონია (17), კიკვიძე (11), კუჭავაძე (13), გოგოლაძე (4), ბოისა (34); ჯიმშელეიშვილი (4), ტაბალუა (2), კოქლამაზაშვილი, ხაიაური (5), ნაზუა

რუსთაველები პირველ ტაიმი მედგრად ებრძოდნენ ჩემპიონს, განსაკუთრებით ნორჩი ბოისა გამოირჩეოდა. მშვენივრად ისროდა შორიდან გაბისონია და რუსთაველებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ცხრა ქულით წააგეს — 47:56. მეორე ტაიმში „ვითამ" ტემპს მოუმატა და ხუთ წუთში გუნდებს უკვე 20 ქულა აშორებდათ.

**სდასუ — შევარდენი 109:92**

**სდასუ:** აბრამიძე (19), დავითულიანი (37), ეგუტია (14), ჩუბინიძე (12), დერიუგინი (12); აბულაძე (6), მუშკუდიანი (9)

**შევარდენი:** მაჭავარიანი, ორჯონიკიძე (15), ფიოდოროვი (5), წოწელია (49), ლვინეფაძე (6); ცაგარეიშვილი (2), ისაკაძე (12), მოისწრაფიშვილი (3)

„შევარდენმა" მშვენივრად ჩაატარა პირველი ტაიმი. უნივერსიტეტელებმა ვერაფერი მოუხერხეს მის ლიდერ წოწელიას, რომელიც ალბათ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდება. მისმა ზუსტმა ტყორცნებმა „შევარდენს" მატჩის დასაწყისშივე ქულათა ისეთი მარაგი შეუქმნა, რომ სტუდენტებმა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ვერ მოახერხეს მისი დაძლევა. ტაიმი „შევარდენმა" მოიგო 57:54. მეორე ტაიმში სდასუმ ტემპს უმატა, სწრაფ თამაშში კი გუნდს ცოტა თუ ჰყავს ბადალი ჩემპიონატზე. განსაკუთრებით დავითულიანის შეჩერება ვერ ხერხდება. ეს მოთამაშე ცაციაა და მეურვეებმა წინასწარ არასოდეს იციან, როგორ დამთავრდება მისი ფარქვეშ გასვლები. რაც შეეხება სდასუს ფარს, იქ დერიუგინი ბატონობდა და თამაშში გარდატეხაც მოხდა. მართალია, არც წოწელია იყო გულხელდაკრეფილი, მაგრამ მატჩის სადავეები უკვე სდასუს ხელში იყო. საბოლოოდ, უნივერსიტეტელებმა გაიმარჯვეს 109:92. მათგან საუკეთესო დავითულიანი იყო, შევარდენელმა წოწელიამ კი ზედიზედ მესამე შეხვედრაში (ერთი პირველი წრის გამოტოვებული მატჩი იყო „ვითასთან") 40 ქულაზე მეტი დააგროვა.

12 მარტი

**დინამო — აზოტი 99:83**

**დინამო:** ჟღენტი (11), ცხვედიანი (17), ოთიურიძე (9), ბეჟანიშვილი (18), მაჭარაძე (9); ჩიქოვანი, მაისურაძე (19), კილაძე (16)

**აზოტი:** გაბისონია (11), კოქლამაზაშვილი (18), კუჭავაძე (2), ჯაფარიძე (24), ბოისა (13); ნიკლაური (6), გოგოლაძე (7), ჯიმშელეიშვილი (2)

ამ მატჩის პირველი ნახევარი ძალზე საინტერესო იყო. ოთიურიძის გასვლას ბოისამ უპასუხა, შემდეგ ცხვედიანმა ზედიზედ სამჯერ დაამთავრა თანაგუნდელთა სწრაფი იერიში და „დინამო" 7 ქულით გაიყვანა წინ. ამ სხვაობით მივიდნენ გუნდები მე-6 წუთამდე, შემდეგ კი რუსთაველების ჯერი დადგა: რვა წუთის განმავლობაში მათ შესანიშნავად ითამაშეს. ბოისამ და ჯაფარიძემ აიკლეს თბილისელთა ფარი, შორიდან ჩინებულად ესროდა კოქლამაზაშვილი და შედეგმაც არ დააყოვნა — 36:24. აქ სრულიად მოულოდნელად, რუსთაველები დაიბნენ, უკანახაზელები ველარ ამარაგებდნენ პასებით თავიანთ ცენტრებს, შორეულ ტყორცნებსაც შეეშვნენ და ბურთის დიდხანს გათამაშება დაიწყეს. დინამოელებმა რამდენჯერმე ჩაჭრეს გადაცემები და სწრაფი გარღვევებით ანგარიში შეამცირეს. „აზოტმა" რამდენიმე ხანს კიდევ შეინარჩუნა უპირატესობა, მაგრამ პირველი ნახევრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მაისურაძემ სამქულიანით წინ გაიყვანა „დინამო". ბოლო წამზე ჯაფარიძის შორეულმა ტყორცნამ დააფიქსირა პირველი ტაიმის ანგარიში — 51:50 დინამოელთა სასარგებლოდ. მეორე ნახევარში ცხვედიანის, კილაძის და ბეჟანიშვილის ტყორცნებით დინამოელებმა სწრაფად გაზარდეს სხვაობა და, ფაქტობრივად, მატჩის ბოლო წამზე მაჭარაძეს საჯარიმოთი შეეძლო 100 ქულამდე აეყვანა თავისი გუნდის მარაგი, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა.

**ვითა — სდასუ 99:91**

**ვითა:** ტურაშვილი (3), ხხეიძე (15), კოკოლიშვილი (18), ნაცვლიშვილი (36), ბერუაშვილი (12); თორთლაძე (2), ორმოცაძე (6)

**სდასუ:** აბრამიძე (20), დავითულიანი (18), აბულაძე (15), ჩუბინიძე (3), დერიუგინი (28); ეგუტია (7)

ამ ჩემპიონატში ყველაზე მეტი გულშემატკივარი სდასუს ჰყავს და უნივერსიტეტელებიც ყოველთვის ამართლებენ თავიანთი თაყვანისმცემლების იმედს. სდასუს ამ მატჩამდე მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდა, სწორედ „ვითასთან" და ამ გუნდების შეხვედრაც დიდ ინტერესს იწვევდა. მართალი რომ ვთქვათ, საეჭვო იყო, რომ სდასუ ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა „ვითას" — სტუდენტები ხომ, ექვსი კაცით თამაშობენ მთელ ჩემპიონატს, მაშინ, როცა „ვითას" შეუძლია თითო მატჩზე სამი-ოთხი მოთამაშე დაასვენოს და მაინც სდასუზე გრძელი სკამი ჰქონდეს. ვითელებმა ენერგიულად დაიწყეს: ტაიმის შუაგულამდე სხვაობა მუდმივად 8-10 ქულას შეადგენდა „ვითას" სასარგებლოდ, მაგრამ რამდენიმე წამში აბრამიძემ და დავითულიანმა იძალეს, სწრაფი გარღვევები შედეგიანად დაასრულეს, ჩუბინიძემ სამქულიანიც დაამატა და სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. კვლავ წინ გასულ ვითელებს ათამაშებული დერიუგინი დაუპირისპირდა. ფართან ბევრად ახალგაზრდა ვითელებთან რომ გაუძნელდა ბრძოლა, გამოცდილი ოსტატი სამქულიანი ზონის იქით გავიდა და მოწინააღმდეგის კალათის დალაშქვრა დაიწყო. სამი წუთით ადრე სწორედ მისი ნასროლი სამქულიანით გავიდა სდასუ პირველად წინ — 39:38. ამის შემდეგ თამაში ქულა-ქულაზე წავიდა, კოკოლიშვილის სამქულიანს აბულაძემ უპასუხა. ნაცვლიშვილის გარღვევას — დავითულიანმა. ბოლოს ბერუაშვილმა შეძლო ფარქვეშ ბრძოლის მოგება და ამ დროს გუნდებს შესვენებამაც მოუსწრო, ანგარიში კი 49:48 იყო „ვითას" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ტურაშვილის ნაცვლად თორთლაძე შემოვიდა, მაგრამ ვერც მისმა გამოსვლამ შეიტანა ძირეული გარდატეხა თამაშში. დერიუგინი კვლავ შედეგიანად ისროდა, დავითულიანი გარღვევას გარღვევაზე ახორციელებდა და ნაცვლიშვილი რომ არა, სდასუ, ალბათ, ბევრად დაწინაურდებოდა. მაგრამ სდასუს სრულფასოვანი რეზერვი არ ჰყავს, ძირითადის მოთამაშეებმა კი თამაშის გარდა იმაზეც უნდა იფიქრონ, რომ მატჩის ბოლომდე შეინარჩუნონ თავი. ეს კი იოლი არ არის, როცა ჩემპიონს ეთამაშები. 27-ე წუთზე კოკოლიშვილის სამქულიანმა „ვითა" აზეირა — 67:63. ამ დროს სდასუმ პირველად შეცვალა მოთამაშე — აბულაძის ნაცვლად მოედანზე ეგუტია შევიდა და იქვე ორი გარღვევა დაამთავრა შედეგიანად. შემდეგ დავითულიანმა იმარჯვა, დერიუგინის სამქულიანის შემდეგ კი სდასუ უკვე ექვს ქულას იგებდა — 74:68. სათამაშო ჯერ კიდევ ათი წუთი იყო, როცა დავითულიანმა ხუთი პერსონალურის გამო დატოვა მოედანი. ეს სდასუსთვის დიდი დანაკლისი იყო, მალე აბრამიძესა და ეგუტიასაც ოთხ-ოთხი პერსონალური გაუხდათ და ვითელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა. თუმცა, სდასუმ ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა და კარგა ხანს ინარჩუნებდა კიდეც უპირატესობას. ექვსნახევარი წუთით ადრე ნაცვლიშვილმა გაათანაბრა 80:80 და მალე ორმოცაძემ კვლავ „ვითა" ასარგებლა. ნაცვლიშვილის ჩატენას დერიუგინმა კვლავ სამქულიანით უპასუხა და ანგარიში 86:85 გახდა ვითელთა სასარგებლოდ. აქ უნივერსიტეტელები აჩქარდნენ, ორჯერ დაჰკარგეს ბურთი და თორთლაძის გარღვევის შემდეგ უკვე 6 ქულას აგებდნენ — წუთით და ოცი წამით ადრე მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ახლა ხუთეულში ასეთი მდგომარეობაა: „ვითა" 12 ქულა 12-დან, სდასუ 12 14-დან, „დინამო" 11 13-დან, „შევარდენი" 8 13-დან და „აზოტი" 7 14-დან.

**დღეს ორი მატჩია: 13 საათზე „ვითა" — „შევარდენის" შეხვედრა გაიმართება, 14.30-ზე კი სდასუ და „დინამო" შეხვდებიან.**

**კოტე მგალობლიშვილი**

**ევროლიგა. მერვედფინალი.**
**ორ მოგებამდე საპასუხო მატჩები. 11 მარტი**

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

კინდერი (იტალია) — სტეფანელი (იტალია) 83:76 (59:67)
*ბარსელონა (ესპანეთი)* — ალბა (გერმანია) 72:62 (95:77)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 60:61 (81:71)
მაკაბი (ისრაელი) — ეფეს პილსენი (თურქეთი) 78:65 (67:76)
კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — *ტიმსისტემი (იტალია)* 75:79 (70:73)
ოლიმპია (სლოვენია) — ციბონა (ხორვატია) 69:66 (58:61)
ესტუდიანტესი (ესპანეთი) — პილერბანი (საფრანგეთი) 79:77 (74:97)
ლიმოჟი (საფრანგეთი) — *პანათინაიკოსი (საბერძნეთი)* 55:70 (67:68)

**გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 13 მარტს**
***დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ მეოთხედფინალში***

**ევროპის თასი. მეოთხედფინალი.**
**საპასუხო მატჩები. 11 მარტი**

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

შლიონსკი (პოლონეთი) — *რეალი (მადრიდი, ესპანეთი)* 91:93 (66:112)
*ირაკლისი (საბერძნეთი)* — ჰაპოელი (ისრაელი) 70:58 (63:68)
*პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი)* — ფითი (თურქეთი) 92:50 (92:72)
პორტუ (პორტუგალია) — *რიელო (იტალია)* 60:72 (78:96)

***დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში***

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

10 მარტი

კლიპერსი — გოლდენ სტეიტი 112:106

11 მარტი

ჩიკაგო — ბოსტონი 117:106, ატლანტა — იუტა 106:99, შარლოტი — ვანკუვერი 98:92, მინესოტა — ფილადელფია 104:100, ჰიუსტონი — სან ანტონიო 103:79, დალასი — ნიუ იორკი 91:83, მაიამი — მილუოკი 108:93, ორლანდო — დენვერი 96:91, ტორონტო — ფინიქსი 105:101, პორტლენდი — კლიპერსი 109:105, სიეტლი — დეტროიტი 93:80, კლივლენდი — საკრამენტო 88:85

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი | 47 | 17 | 73,4 |
| მაიამი | 46 | 17 | 73,0 |
| ორლანდო | 33 | 28 | 54,1 |
| ვაშინგტონი | 28 | 33 | 45,9 |
| ნიუ ჯერსი | 18 | 43 | 29,5 |
| ფილადელფია | 16 | 45 | 26,2 |
| ბოსტონი | 12 | 51 | 19,0 |

| ცენტრალური დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 54 | 8 | 87,1 |
| დეტროიტი | 45 | 17 | 72,6 |
| ატლანტა | 43 | 19 | 69,4 |
| შარლოტი | 41 | 22 | 65,1 |
| კლივლენდი | 34 | 27 | 55,7 |
| ინდიანა | 29 | 32 | 47,5 |
| მილუოკი | 26 | 36 | 41,9 |
| ტორონტო | 22 | 40 | 35,5 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა-დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 45 | 17 | 72,6 |
| ჰიუსტონი | 43 | 20 | 68,3 |
| მინესოტა | 31 | 30 | 50,8 |
| დალასი | 20 | 41 | 32,8 |
| დენვერი | 18 | 44 | 29,0 |
| სან ანტონიო | 15 | 47 | 24,2 |
| ვანკუვერი | 11 | 53 | 17,2 |

| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 43 | 18 | 70,5 |
| ლეიკერსი | 41 | 20 | 67,2 |
| პორტლენდი | 36 | 28 | 56,3 |
| საკრამენტო | 28 | 35 | 44,4 |
| კლიპერსი | 26 | 34 | 43,3 |
| ფინიქსი | 34 | 38 | 38,7 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 38 | 37,7 |



**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

10 მარტი. ფილადელფია — ვაშინგტონი 5:0, პიტსბურგი — მონრეალი 2:2, ტორონტო — დალასი 3:3, ჩიკაგო — ვანკუვერი 2:2, ფინიქსი — ოტავა 1:4, ლოს ანჯელესი — დეტროიტი 3:3

11 მარტი. ფლორიდა — ბაილენდერსი 3:2, ნიუ ჯერსი — ედმონტონი 6:1, ვაშინგტონი — ვანკუვერი 4:1, სან ხოსე — სენტ ლუისი 3:4, ბუფალო — ფილადელფია 3:2

გასულ დღეებში მატჩები რომ სიმწვავით და დაძაბულობით გამოირჩეოდა, ამაზე ანგარიშებიც მეტყველებს, მაგრამ თუ ორ-



შაბათს მეტოქე გუნდთა უპრავლესობა დაზავდა, მეორე დღეს ორთაბრძოლებმა მხოლოდ გამარჯვებულ-დამარცხებულები გამოავლინა.

მეტად გაუგრძელდა კრიზისი ვანკუვერს. ეს ვაშინგტონთან შეხვედრაზეც აისახა. ბრწყინვალედ ითამაშეს ვაშინგტონის ახალმოწვეულმა ჰოკეისტებმა. რიქტოკეტმა (1+1) თავის სადებიუტო მატჩში გადამწყვეტი შაიბა მოაწყო, ხოლო ოუთსმა ერთი პასი მიითვალა. ვანკუვერი კი ისე უსუსურად გამოიყურებოდა, რომ პირველ ორ პერიოდში მხოლოდ ათჯერ შეაწუხა მეტოქის გოლკიპერი გუნდის ლიდერებმა ჩხუბში უფრო იძალეს, ვიდრე თამაშში. სპეციალისტთავარაუდით, ვანკუვერის მწვრთნელი ქუინი, რომელიც სენსაციური გაცვლებითაა ცნობილი, 20 მარტამდე რამდენიმე მნიშვნელოვან „ჩეინჯს" გააკეთებს.

აღმოსავლეთის ლიდერი ფილადელფია ვაშინგტონთან დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ („მფრინავეთა" სნაიპერი ლეკლერი მორიგი ორი შაიბით მარიო ლემიეს დაეწია — 44 გოლი) ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონის ლიდერ ბუფალოს შეეჯახა. ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა საუკეთესო, ოვერტაიმმა კი გამარჯვება ბუფალოს არგუნა — პეკამ 42-ე წამზე გაახარა თავისიანები.

ფილადელფიამ იმდენჯერ წაიფორხილა, რომ ამასობაში ნიუ ჯერსი წამოეპარა. ბოლო მატჩები „ეშმაკებმა" გოლმთრის გარეშე ჩაატარეს, მაგრამ უგოლმთრობა სულაც არ დასტყობიათ. ახლაც ედმონტონმა ვერ გაუძლო მათ დაწოლას და პირველივე პერიოდში ხუთი გოლი გაუშვა, აქედან ორი ჩეხი ჰოლიკის (18) ანგარიშზეა. ალბათ, ბრძოლა კონფერენციის ლიდერობისთვის ძალზე პრინციპული იქნება, რადგან პირველ ადგილზე გასული ფლეი-ოფში სუსტ მეტოქეს ეჯახება, მაშინ, როცა მეორეს რეინჯერსთან ან პიტსბურგთან მოუწევს დაპირისპირება.

პიტსბურგმა ბოლო წუთებზე მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგა — ორ წუთში მონრეალელებმა ბურემ და რიშემ ორჯერ აილეს რეკეტის კარი. [illegible] „[illegible]ები" წაგებას გადაურჩნენ [illegible] ტაიმში [illegible] ნაშეველი [illegible] უწყო მეტოქის [illegible] ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან.

ცენტრალური დივიზიონის ლიდერები — დალასი და დეტროიტი ერთნაირი ანგარიშით დაუზავდნენ კონფერენციის აუტსაიდერებს ტორონტოს და სან ხოსეს. ორივე მატჩში ერთნაირად განვითარდა მოვლენები — ლიდერები წინ გადიოდნენ, მაგრამ უპირატესობას ვერ ინარჩუნებდნენ. გამოვყოფთ ათამაშებულ ტორონტოელ უორინერს, რომელმაც ამჯერად დუბლი გააზერხა. უნდა ითქვას, რომ სწორი საკადრო პოლიტიკის ხარჯზე დალასი წელს ძირფესვიანად გარდაიქმნა. ძველი საბჭოთა ჩემპიონატების დარად ნჰლ-ში „პროგრესის" თასი რომ ყოფილიყო უეჭველად დალასი დაიმსახურებდა, რადგან შარშანდელი კონფერენციის მე-9 ადგილიდან „ვარსკვლავებმა" დივიზიონის მეთაურობა იკისრეს, თანაც 27 ქულით მეტი დააგროვეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ სეზონის ყველაზე უიღბლო კლუბების — ტორონტოსა და ბოსტონის წარუმატებლობის მიზეზი სწორედ საკადრო პოლიტიკაში დაშვებული უხეში შეცდომებია.

და ბოლოს, აღვნიშნავთ ოტავას დამაჯერებელ გამარჯვებას. კალიფორნიაში ნაწვნევი სამი მარცხის შემდეგ „სენატორებმა" მოახერხეს ფინიქსის ძლევა, რაშიც მთავარი წვლილი ევროპელებმა იაშინმა (1+1) და ალფრედსონმა (1+1) შეიტანეს. რუსი თანამემამულეთა შორის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: ლემიე (პიტსბურგი) 101 (44+57), სელიანე (ანაჰაიმი) 90 (42+48), იაგრი (პიტსბურგი) 87 (45+42), გრეცკი (რეინჯერსი) 84 (18+66), ლეკლერი (ფილადელფია) 81 (44+37), სუნდინი (ტორონტო) 79 (35+44), კარია (ანაჰაიმი) 79 (34+45), შენაჰანი (დეტროიტი) 77 (42+35), აიზერმანი (დეტროიტი) 74 (16+58), ოუთსი (ვაშინგტონი) 73 (20+53), ჰალი (სენტ ლუისი) 71 (38+33), მესიე (რეინჯერსი) 71 (33+38), ფრენსისი (პიტსბურგი) 71 (21+50), დამფუსი (მონრეალი) 70 (22+48)

სნაიპერები: იაგრი 45, ლემიე და ლეკლერი 44, შენაჰანი და სელიანე 42, ბონდრა (ვაშინგტონი) 41, ჰალი და ტკაჩუკი (ფინიქსი) 38, სუნდინი 35, კარია, პალფი (აილენდერსი) და ამონტე (ჩიკაგო) 34

ასისტენტები: გრეცკი 66, აიზერმანი 58, ლემიე 57, ოუთსი 53, უეიტი (ედმონტონი) 52, ფრენსისი და გილმორი (ნიუ ჯერსი) 50, სელიანე, ლიჩი (რეინჯერსი) და დამფუსი 48

მცველები: ლიჩი 66 (18+48), ოზოლინში (კოლორადო) 55 (20+35), ლიდსტრომი (დეტროიტი) 47 (13+34), ტვერდოვსკი (ფინიქსი) 47 (9+38), ზუბერი (პიტსბურგი) 44 (12+32), ბურკი (ბოსტონი) 43 (16+27), დ. მირონოვი (ანაჰაიმი) 40 (10+30), ჩელიოსი (ჩიკაგო) 40 (9+31), დესჟარდენი (ფილადელფია) 40 (10+30), ბურარდი (აილენდერსი) 39 (7+32)

აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *ფილადელფია* | 68 | 38 | 10 | 20 | 226:173 | 86 |
| *ნიუ ჯერსი* | 67 | 36 | 12 | 19 | 188:155 | 84 |
| ბუფალო | 67 | 35 | 11 | 21 | 195:167 | 81 |
| ფლორიდა | 68 | 30 | 15 | 23 | 180:160 | 75 |
| რეინჯერსი | 68 | 31 | 9 | 28 | 219:191 | 71 |
| პიტსბურგი | 66 | 32 | 6 | 28 | 228:216 | 70 |
| ჰარტფორდი | 66 | 26 | 10 | 30 | 183:201 | 62 |
| ტამპა | 66 | 27 | 7 | 32 | 184:206 | 61 |
| ვაშინგტონი | 67 | 27 | 7 | 33 | 170:188 | 61 |
| მონრეალი | 69 | 24 | 13 | 32 | 210:243 | 61 |
| ოტავა | 67 | 22 | 13 | 32 | 184:197 | 57 |
| აილენდერსი | 67 | 23 | 10 | 34 | 183:198 | 56 |
| ბოსტონი | 67 | 23 | 9 | 35 | 197:238 | 55 |

დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *კოლორადო* | 67 | 41 | 9 | 17 | 228:163 | 91 |
| *დალასი* | 68 | 40 | 5 | 23 | 205:165 | 85 |
| დეტროიტი | 66 | 32 | 15 | 19 | 211:155 | 79 |
| ედმონტონი | 69 | 31 | 7 | 31 | 213:208 | 69 |
| ფინიქსი | 68 | 31 | 4 | 33 | 192:205 | 66 |
| სენტ ლუისი | 68 | 29 | 8 | 31 | 199:209 | 66 |
| ანაჰაიმი | 67 | 28 | 9 | 30 | 195:194 | 65 |
| ჩიკაგო | 68 | 26 | 11 | 31 | 174:170 | 63 |
| კალგარი | 69 | 28 | 7 | 34 | 181:196 | 63 |
| ვანკუვერი | 68 | 28 | 4 | 36 | 209:231 | 60 |
| ლოს ანჯელესი | 69 | 25 | 9 | 35 | 184:224 | 59 |
| ტორონტო | 67 | 25 | 5 | 37 | 196:231 | 55 |
| სან ხოსე | 67 | 23 | 7 | 37 | 172:220 | 53 |

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია გუნდები, რომლებმაც გაინაღდეს ფლეი-ოფში გასვლა.*

## ზე-12-ის სერიალი



მორიგი საჰაერო დუელი: ვაიქათოელი გლენ თეილორი ცაში კი აჭრილა, მაგრამ სიდნეელ ვეტერან თიმ გევინს დერეფანში მაინც ვერ აართვა ბურთი

სიდნი მორნინგ ჰერალდ-ის ფოტო

# ბობოლა ავსტრალიური პროვინციების შავი კვირა

**II კვირა**

7. 03. ქრაისთჩერჩი. ქენთებრი (ზელანდია) 19 (ლ: ქერი; გ, 4ს: ლილი) — ველინგთონი (ზელ) 17 (2ლ: იერემაია, პრესტონი; 2გ, ს: პრესტონი)
ბლუმფონტეინი. ნარინჯი (აფრიკა) 15 (5ს: დებეერი) — ოქლენდი (ზელ) 24 (2ლ: ვიდირი, ტონუუ; გ, 4ს: ქეშმორი)
8. 03. სიდნეი. ახალი სამხრეთი უელსი (ავსტრალია) 26 (2ლ: ბერქი, პარი; 2გ, 4ს: ბერქი) — ვაიქათო (ზელ) 33 (3ლ: რაში 2, ბრეინი; 3გ, 4ს: კუპერი)
დურბანი. ნატალი (აფრ) 75 (9ლ: ლოლისი 4, ი. ჟუბერი 2, თომსონი, ალენი, პონიბალი; 9გ, 4ს: ლოლისი) — ოთაგო (ზელ) 43 (6ლ: როპატი, ფალანიკო, ვილსონი, ბარი, ბრაუნი, მეევზი; 5გ, ს: ბრაუნი)
პრეტორია. ჩრდილოეთი ტრანსვაალი (აფრ) 14 (2ლ: ფანდერვესტჰოიზენი; 2გ: ფანრენსბურგი) — ქვინზლენდი (ავსტ) 3 (ს: ილზი)
9. 03. იოჰანესბურგი. ტრანსვაალი (აფრ) 44 (5ლ: მაკდონალდი, რუ, მულდერი, ჯილინგემი, ლერუ; 5გ, 3ს: ჯონსონი) — კანბერა (ავსტ) 36 (5ლ: ლარქემი 2, ჰოვარდი, გრეგანი, როფი; 4გ, ს: ნოქსი)

**III კვირა**

14. 03: ტრანსვაალი — ოთაგო, ახ. სამხ. უელსი — ქენთებრი; 15. 03: ვაიქათო — ოქლენდი, ნარინჯი — ქვინზლენდი; 16. 03: ნატალი — კანბერა, ველინგთონი — ჩრდ. ტრანსვაალი

მეორე ტურში ავსტრალიის სამივე გუნდმა წააგო. ორი თუ ტრანსვაალში სტუმრობდა და მოგების იმედი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა, მესამე და უველაზე სახელოვანი — „ვარათაზი“ სიდნეის „ფუთბოლ სთადიუმზე“ (საბურთაო მოედანზე) მასპინძლობდა ვაიქათოს „ბელადებს“, რომელთა უკანა ხაზიც ერთიანად „ოლ-ბლექებითაა“ დაკომპლექტებული.

უთაურმა მასპინძლებმა თამაში გამოცხადებულზე ნახევარი საათით ადრე დაიწყეს. 23 ათასი მოსეირის ნაწილს სირბილ-სირბილ მოუწია ტრიბუნაზე ადგილის დაკავება. ამასობაში სტუმრებმა გაიჯეჯილეს, რადგან სიდნეელებს 25-ე წუთზევე დაუშავდათ აყლაყუდა იტალიელი მარკ ჯაკერი და სტუმართა კაპიტან იენ ჯოუნზთან პირწმინდად აგებდნენ დერეფანს. ერიკ რაშის ორი ლელოთი ვაიქათო 20:9 დაწინაურდა. სიდნეელები გარჯით მოპოვებულ ბურთს უთავბოლოდ ურტყამდნენ და სტუმრებს კონტრშეტევის შანსებს ბლომად უქმნიდნენ. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ვეტერანი დევიდ ქემფიზი თამაშში ჩაერთვებოდა.

კამპოს გამოჩენას ხალხი ყიჟინით შეხვდა. დევიდი მორიგი გადაჯგუფების შემდეგ უმალ 10 ნომრად გაიჩითა, ნაღდ 10 ნომერ სქოთ ბოუენს მისცა ბურთი, ამან კი იგი მეტოქის ლელოსკენ გააგორა და „ვოლაბმა“ მცველმა მეთ ბერქმაც ლელო გაიტანა.

თამაშის დასკვნით 15 წუთში „ვარათებმა“ თამაშში ჩაბეს ნაკრების ექს-კაპიტანი და კვაჭი ფილ ქერნსიც, ვისაც ქუსლის ტრავმის გამო წელიწადნახევარი გაუცდა. 71-ე წუთზე სიდნეელებმა დერეფნიდან გაიტანეს ლელო, 76-ეზე კი ბერქმა ანგარიში გაათანაბრა 26:26.

მერე ზელანდიელებმა სასწაული იერიში განახორციელეს. ბურთი აქეთ-იქით უამრავჯერ ჩაათამაშეს და ყოველი შეფერხების შემდეგაც შეინარჩუნეს, საფინალო სასტვენამდე 70 წამით ადრე კი მათმა ბებერმა შუამარბმა ფრენკ ბანსმა შეტევას ჭკვიანურად შეუცვალა მიმართულება და 8 ნომერი ეროლ ბრეინი გაუყენა ლელოს გზას.

წრიული ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ქვინზლენდს ისევ აკლდნენ ფლანკერი დევიდ ვილსონი და შუამარბი ჯეისონ ლითლი. უამათოდ გუნდი ერთობ აშლილია. პრეტორიაში „წითლებს“ მხოლოდ მას შემდეგ ეშველათ, რაც სხვათა ტრავმების გამო თიმ ჰორანი 15 ნომრიდან ჯერ 12-ზე გადავიდა, ბოლოს კი 10-ადაც დადგა. ჰორანმა გარღვევები მოაწყო, მაგრამ მის თანაგუნდელებს ბურთი ხელიდან გაუვარდათ. ამას დაერთო ორმეტრიანი ჯონ ილზის უზუსტო დარტყმებიც — „ვოლაბთა“ კაპიტანს სამი იოლი საჯარიმო გაუცუდდა.

ილზის სენი გადაედო თეო ფანრენსბურგსაც, ვინაც მეორე ნახევარში ოთხი შანსი ხელიდან გაუშვა. ამის გამო თამაში იმ ანგარიშით მორჩა, რომლითაც პირველი ტაიმი დამთავრდა.

> ზე-12-ის კვირეული მიმოხილვის ცქერა რაგბის თავგამოდებულ გულშემატკივრებს შეუძლიათ პარასკეობით, გამთენიის 6-ის ნახევარზე, „აიეტი თი-ვის“ 36-ე არხით — **ESPN**-ით!

მასპინძელ „ლურჯ ხართაგან“ „ქურციკმა“ 9 ნომერმა იუსტ ფანდერვესტჰოიზენმა ერთი ლელო გადასარევი გაიტანა; მეორესაც არა უშავდა. მე-12 წუთზე იუსტმა ფლანკერ რუბენ კრუგერის გარღვევა გააგრძელა და ჰორანს ბურთი ფეხით თავსზე გადაუგდო, მერე სირბილში აჯობა და ლელო რომ გაიტანა, მსაჯმაც კი მიულოცა. ზედ შესვენების წინ ქვინზლენდს ბურთი თავის ლელოსთან გამართული შერკინებიდან უკულმართად გამოუგორდა და ფანდერვესტჰოიზენიც მას სხვებზე ადრე დაახტა.

კანბერელმა „ბედაურებმა“ ტრანსვაალის „ოქროს ლომებს“ ალალი ბურთაობა გაუმართეს. თუმც თამაშს ჭექა-ქუხილი და წვიმა შეხვდა, გუნდები ოდენ შეტევაზე ფიქრობდნენ. ტაიმი მასპინძლებმა 27:24 მოიგეს, შესვენების შემდეგ კი ბლიც-კრიგი განახორციელეს და კიდევ 17 ქულა მოიხვეჭეს. ავსტრალიელები მეტოქეს არ დანებდნენ. ბოლო წუთზე სხვაობა 8 ქულაღა დარჩა. აქ ბებერ დევიდ ნოქსს სანუგეშო ქულის დათრევის შანსი გაუჩნდა, მაგრამ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი კარს ბევრით ააცილა.

ავდარი, ოღონდაც 32-გრადუსა სიცხე და შეხუთული ატმოსფერო იყო დურბანშიც. ოთაგოს „მთიელებს“ ძვირად დაუჯდათ ბრიტანეთში მოგზაურობა და ეკვატორს ქვემოთ გამართული საწვრთნელი მატჩები, რადგანაც სამი წამყვანი მოთამაშე დაუშავდათ: საიმონ ქელეინს (10) ტვინი შეერყა, იენ ფოსტერს (9) კუნთი გაუწყდა, ჯოშ კრონფელდს (7) კი მხარი ელრძო, რის გამოც 6 კვირა გაუცდება.

ნაკლები ზარალი არც შარშანდელ ფინალისტ ნატალს უნახავს. გარემარბ ჯეიმზ სმოლს ქეიფთაუნის დასავლეთი კონცხისკენ მიუწევს გული და არა თამაშობს. მეორეხაზელი სთივ ასერთონი, არგენტინელი ბურჯი ფედერიკო მენდესი და ფრანგი შუამარბი თიერი ლაკრუა ინგლისის კლუბებმა გადაიბირეს. დაშავებული მცველი ანდრე ჟუბერი არ მოკეთებულა.

პირველი ლელო ჯერემი თომსონმა 12-ე წუთზე გაიტანა. მერე ამას კიდევ 14 (!) მოყვა. ნატალი მძიმეწონოსან მოკრივესა ჰგავდა, ოთაგო — საშუალო წონისას. სამხრეთი აფრიკის საშინაო — ქარრის თასის შარშანდელმა ბომბარდირმა გევინ ლოლისმა, ნატალში ნახალწლევს რომ გადავიდა ტრანსვაალიდან, შედეგიანობის ეროვნული რეკორდი გააუმჯობესა — 4 ლელოთი, 9 გარდასახვითა და 4 საჯარიმოთი ერთბაშად 50 ქულა (!) დააგროვა. აქამდე 48 ქულა სამ აფრიკელს მოეგროვებინა, ოღონდაც ბევრად უფრო დაბალი დონის შინაურ მატჩებში. ლოლისმა ბოლო ორი ლელო დასკვნით 7 წუთში გაიტანა და არც დარტყმა გასცუდებია.

დანარჩენი ორი თამაში ვერაფერი სანახაობა იყო. მას შემდეგ, რაც შარშანდელი ჩემპიონი ოქლენდი პრეტორიაში 40:40 ფრეს დაჯერდა, „ლურჯებს“ თამაშის ხალისი დაეკარგათ. ზე-12-ის ახალბედა ნარინჯმა მათ ფიცხელი ომი გაუმართა, მაგრამ იანი დებეერმა 10-დან მხოლოდ 5 საჯარიმო შეაგდო. ოქლენდმა ეშხიანად მხოლოდ ლელოების გატანისას ითამაშა. მატჩი მთავრდებოდა. ანგარიში 21:15 იყო და ნარინჯს ქულა ერგებოდა, მაგრამ ადრიან ქეშმორმა ერთი საჯარიმოც შეუგდო და ესეც არ დაანება.

ველინგთონის „გრიგალებმა“ ზედიზედ მეორე თამაში წააგეს მცირე სხვაობით. ქრაისთჩერჩის ატალახებულ მოედანზე მათ ბოლოსდა გამოლეს ხელი, თორემ ერთი პირობა 3:16 აგებდნენ.

ქულების დარიცხვის ნიხრი:

მოგება — 4, ფრე — 2, ნაგება — 0; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო საკომპენსაციო ან პრემიალური ქულა („+“ გრაფა)

მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში. ნახევარფინალები 23-24 მაისს გაიმართება, ფინალი — 31 მაისს

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტრანსვაალი | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 68:56 | 9 |
| ვაიქათო | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 56:44 | 8 |
| ჩრდ. ტრანსვაალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 54:43 | 7 |
| ოქლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1 | 64:55 | 7 |
| ნატალი | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 75:43 | 5 |
| კანბერა | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 60:63 | 5 |
| ქენთებრი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 19:17 | 4 |
| ველინგთონი | 2 | 0 | 2 | 0 | 2 | 35:42 | 2 |
| ახ. სამხ. უელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 26:33 | 1 |
| ნარინჯი | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 35:48 | 1 |
| ქვინზლენდი | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 22:38 | 1 |
| ოთაგო | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 43:75 | 1 |

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ:
95 26 90





# სკადი თიკუნს ამართლებს

ეისი — უშუალოდ მოწოდებიდან ჩაგდებული ბურთი დღესდღეობით ვაჟთა ჩოგბურთის უველაზე სადაო საკითხია. იგი ზოგს მოწონს, ზოგს — არა. ისე კი, ერთნიცა და მეორენიც კრძალვით შეჰყურებენ ეისთა კარუზოებს — გორან ივანიშევიჩს, პიტ სამპრასს, გრეგ რუზეცკისა თუ მარკ ფილიპუსისს.

20 წლის მელბურნელმა ფილიპუსისმა, ტანად 194 სანტიმეტრი რომაა და ამ ორშაბათს კლასიფიკაციის 32-ე ნომერი იყო, პარასკევს უსწრაფესად მოწოდების მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სქოთსდეილში (არიზონა, აშშ), „ფრანკლინ ტემპლტონ კლასიკის“ მეოთხედფინალში ჯეელი ავსტრალიელი ეთამაშა ბაირონ ბლექს (ზიმბაბვე) და 7:5, 6:3 მოუგო. მეორე ხელში ანგარიში 4:1 რომ გახდა, დამსწრე საზოგადოება ერთობ ახმაურდა. ფილიპუსისმა ბურთის სიჩქარის მზომ რადარს შეხედა და სიხარულით ხელები შემართა.

აპარატურა 142 მილ-საათს უჩვენებდა, რაც ჩვენებურად 228,5 კმ-სთ უდრის. წინა რეკორდი — 225 კმ-სთ შარშან ბრიტანელ გრეგ რუზეცკის დაემყარებინა პეკინში. სულ ამ მატჩში „სკადად“ ცნობილმა ფილიპუსისმა 17 ეისი გააზერხა და მეტოქეს 73 წუთში მოუღო ბოლო. ეს მეტსახელი მარკს იმად ჰქვია, რომ 1991 წლის სპარსეთის ყურის ომში „სკადად“ წოდებულმა ბალისტიკურმა ჭურვებმა სადამ ჰუსეინის ჯარს შავი დღე აყარეს.

53-ე ჩოგანმა ბლექმა ნამატჩევს სარეკორდო ეისის გამო თქვა, ბურთი ისე სწრაფად წამოვიდა, რომ ვერცკი შევნიშნეო. მანამდე მან პირველსავე წრეში 6:1, 4:6, 7:6 (7-5) გააგდო პირველ ნომრად განთესილი მარსელო რიოსი (ჩილე), ვისაც ტრავმის გამო წინა კვირა არ ევარჯიშა.

სქოთსდეილის ტურნირის მეორე წრეს — მერვედფინალს ოდენ სამმა განთესილმა მიაღწია. შარშანდელი ჩემპიონი ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 2) 4:6, 7:5, 6:2 გააგდო ფრანგმა ჟერომ გოლმარმა, ხოლო 1993 და 1994 წლების ჩემპიონი ანდრე აგასი (აშშ, 5) — 37-ე ჩოგანმა, ესპანელმა ხავიერ სანჩესმა.

სხვა მეოთხედფინალები: ქრის ვუდრაფი (აშშ) — კარლოს მოია (ესპანეთი, 8) 7:6 (10-8), 6:7, 6:3; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 4) 6:4, 2:6, 6:4; რიჩი რენებერგი (აშშ, 8) — გოლმარი 6:4, 6:2. ნახევარფინალები: ფილიპუსისი — ვუდრაფი 4:6, 7:6 (7-5), 6:2; რენებერგი — ბიორკმანი 6:3, 6:3

ფინალმა 91 წუთს გასტანა. ფილიპუსისმა 13 ეისი გააზერხა, 6:4, 7:6 (7-4) დაამარცხა 31 წლის ამერიკელი და კარიერის მეორე ტიტულის მოგება 43 ათასი დოლარი პრიზით გაიხალისა. მთელს ტურნირში მას 68 ეისი დაუგროვდა.

## თაი-ბრეიქებით

წინა კვირის მეორე დიდი ტურნირი — **ABN AMRO** როტერდამში გაიმართა. შარშანდელმა ჩემპიონმა გორან ივანიშევიჩმა (ხორვატია, 1) მერვედფინალში 7:5, 6:7 (7-5), 6:3 ძლია ფრანგი გიიომ რაუქსი. უიმბლდონის ჩემპიონმა რიხარდ კრაიჩეკმა (ჰოლანდია, 2), ვინაც ახალი წლის წინ მუხლის ოპერაცია გადაიტანა, თუმც 28 ეისი შეიძლო, მაინც ძლივს — ორი თაიბრეიქით (9-7, 7-5) დაამარცხა 59-ე ჩოგანი დავიდ პრინოზილი (გერმანია).

მეოთხედფინალები: კრაიჩეკი (2) — მიხაელ შტიხი (გერმანია) 7:6 (7-4), 7:6 (7-3); თომას ენკვისტი (შვედეთი, 3) — ალექს რადულესკუ (გერმანია) 7:6 (10-8), 6:3; დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) — რენცო ფურლანი (იტალია) 6:4, 1:6, 6:3; ჩეხ პეტრ კორდას ზურგი ატკივდა და ივანიშევიჩს უთამაშებლად დანებდა.

ნახევარფინალები: ვაჩეკი — ივანიშევიჩი (1) 6:4, 1:6, 7:6 (7-2). რვა დღით ადრე, მილანის შეჯიბრების მეოთხედფინალში, გორანმა 6:3, 6:7, 6:4 მოიგო, ახლა კი 11 ეისის გარდა ამდენივე ორმაგი შეცდომა მოუვიდა. კრაიჩეკი (2) — ენკვისტი (3) 6:7 (5-7), 6:3, 6:4

ფინალი: კრაიჩეკი — ვაჩეკი 7:6 (7-4), 7:6 (7-5)

## ამ კვირაში

ინდიან-ველში (კალიფორნია, აშშ) ერთბაშად ორი დიდი ტურნირია — იქ ვაჟებიც ასპარეზობენ და ქალებიც. ვაჟთა შეჯიბრს „ნიუზვიკ ქაფ“ ჰქვია და ჯამურ საპრიზო ფონდად 2,3 მილიონი დოლარი აქვს, „სთეით ფარმ ევერტ ქაფზე“ მოასპარეზე დიაცები კი ჰონორარებად 1,26 მილიონს დაინაწილებენ.

ქალთა ტურნირს დაწყებამდე გამოაკლდნენ დაშავებულები — შარშანდელი გამარჯვებული შტეფი გრაფი (გერმანია) და მონიკა სელეში (აშშ), აგრეთვე გადაღლილები — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი). რაკი ფინალი შაბათისთვისაა დანიშნული, პირველი თამაშები წინა პარასკევს გაიმართა. წილისყრის მერე ექიმის რჩევით მონაწილეობაზე უარი განაცხადა მარი პირსმაც (საფრანგეთი, 7), ვისაც ფეხი ტკივა.

უკეთეს განთესილთაგან მეორე წრეში გავარდა ამანდა კოეტცერი (სამხრეთი აფრიკა, 8), ვისაც 1:6, 7:5, 7:5 მოუგო არგენტინელმა ფლორენსია ლაბატმა. არანჩა სანჩეს-ვიკარიომ (ესპანეთი, 1) ჯერ 6:1, 6:3 ძლია ასა კარლსონი (შვედეთი), მერე კი სანდრინ ტესტიუც (საფრანგეთი) 3:6, 6:2, 6:2. კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი, 2) დაამარცხა პეტრა ბეგერო (გერმანია) 6:4, 6:2 და ჩანდა რუბინი (აშშ, 15) 6:1, 1:6, 7:5, ლინდზი დავენპორტმა (აშშ, 4) კი — თამი ვითლინგერ-ჯოუნზი (აშშ) 6:4, 6:0 და რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი, 14) 6:2, 6:1. სამაგიეროდ, მესამე წრეში 16 წლის ზანგმა ვინუს ვილიამსმა (აშშ), 211-ე ჩოგანი რომაა, 2 საათსა და 33 წუთში 7:5, 3:6, 7:5 ძლია ივა მაიოლი (ხორვატია, 5) და მეოთხედფინალში დავენპორტთან მოუწევს შებმა.

ვაჟთა შეჯიბრში ფილიპუსისი სამშაბათს ცხოვრებაში პირველად გადაეყარა აგასის (10), 23 ეისი ჩაუგდო და 7:6 (7-5), 7:6 (7-5) დაამარცხა.

**მოგება-წაგება და წილი (%)**

| | | | |
|---|---|---|---|
| **1997 წელს (სულ)** | | | |
| პიტ სამპრასი | 17 | 0 | 1.000 |
| გორან ივანიშევიჩი | 24 | 4 | .857 |
| თომას მუსტერი | 12 | 2 | .857 |
| მაიქლ ჩანგი | 12 | 2 | .857 |
| თოდ ვუდბრიჯი | 13 | 3 | .813 |
| კარლოს მოია | 14 | 4 | .778 |
| ჯიმ კურიე | 14 | 4 | ,778 |
| **ჭერქვეშ** | | | |
| სამპრასი | 10 | 0 | 1.000 |
| ივანიშევიჩი | 14 | 1 | .933 |
| ჩანგი | 7 | 1 | .875 |
| რიხარდ კრაიჩეკი | 5 | 1 | .833 |
| თომას ენკვისტი | 13 | 3 | .813 |
| პეტრ კორდა | 10 | 3 | .769 |
| თოდ მარტინი | 6 | 2 | .750 |
| გრეგ რუზეცკი | 8 | 3 | .727 |
| **გარეთ** | | | |
| სამპრასი | 7 | 0 | 1.000 |
| მარკ ფილიპუსისი | 5 | 0 | 1.000 |
| ვუდბრიჯი | 8 | 1 | .889 |
| კურიე | 13 | 2 | .867 |
| მუსტერი | 12 | 2 | .857 |
| ჩანგი | 5 | 1 | .833 |
| იონას ბიორკმანი | 13 | 3 | .813 |
| თიმ ჰენმანი | 11 | 3 | .786 |
| მოია | 14 | 4 | .778 |
| **ხისტ საფარზე** | | | |
| სამპრასი | 17 | 0 | 1.000 |
| მუსტერი | 12 | 2 | .857 |
| ჩანგი | 12 | 2 | .857 |
| ივანიშევიჩი | 15 | 3 | .833 |
| ვუდბრიჯი | 13 | 3 | .813 |
| ბიორკმანი | 17 | 5 | .773 |
| ენკვისტი | 10 | 3 | .769 |
| ჰენმანი | 16 | 5 | .762 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29